დანართი №1

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

სპეციალური მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი
23.01.2024
18.04.2024

თბილისი

შინაარსი

I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ 4

II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა 6

III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან 11

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა 11

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა 25

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა 36

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა 39

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები 47

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ[1]

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	204864548
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	მიხეილ გიორგაძე , სსიპ - ილიას სახლემწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ირმა ქურდაძე, სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ევა ხუხაშვილი, სსიპ - თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	თამარ სეხნიაშვილი ბავშვთა და მოზარდთა რეაბილიტაციის ცენტრი ფაზლი
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ლია ქურციკიძე - სსიპ - ილიას სახლემწიფო უნივერსიტეტი, საქართველო

[1] ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის.

I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება (ქართულად)	სპეციალური მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა
საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება (ინგლისურად)	Special Education Teacher Training Programme
უმაღლესი განათლების საფეხური	I საფეხური
მისანიჭებელი კვალიფიკაცია[2]	N/A
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	მასწავლებლის მომზადება საგნობრივი სპეციალიზაციის გარეშე 0113
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება [3]	N/A
სწავლების ენა	ქართული
ECTS კრედიტების რაოდენობა	60
პროგრამის სტატუსი (აკრედიტებული/ არააკრედიტებული/ პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	ახალი
პროგრამაზე მიღების დამატებითი პირობები (სახელოვნებო-შემოქმედებითი ან/და სასპორტო საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში შემოქმედებითი ტური/შიდა კონკურსის გავლა, ან სხვა პროგრამის შემთხვევაში, პროგრამაზე მიღების/პროგრამის განხორციელების სპეციფიური მოთხოვნები)	სპეციალური მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლის“ თანახმად, სპეციალური მასწავლებლის მომზადების (60 კრედიტიან) საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობად განსაზღვრულია საგანმანათლებლო

[2] უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით.

[3] მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის, ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში

	ინსტიტუციებში (სკოლები, სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებები და ა. შ.), დღის ცენტრებში და ა. შ. სწავლების არანაკლებ ორწლიანი გამოცდილება.

II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**[4]

სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სპეციალური მასწავლებლის მომზადების 60 კრედიტიანი საგანმანათლებლო პროგრამა საქართველოში ქმნის სპეციალური მასწავლებლის მომზადების პრეცედენტს. მოცემულ მომენტში პროგრამას ადგილობრივ დონეზე ანალოგი არ აქვს.

პროგრამა შეიქმნა საერთაშორისო თანამშრომლობით. კერძოდ, პროგრამა ERASMUS+ პროექტის ,,ინოვაციები კურიკულუმში სოციალური ჩართულობის მხარდასაჭერად" (Curriculum Innovation for Social Inclusion – CISI) ფარგლებში. პროგრამის შემუშავებაში ჩართულები იყვნენ როგორც ადგილობრივი, ისე საერთაშორისო დარგის წამყვანი სპეციალისტები. პროგრამის შემუშავებაში ჩართულები იყვნენ ასევე საქართველოს რეგიონის პარტნიორი უნივერსიტეტები - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი და აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი (ქუთაისი). გარდა ამისა, პროგრამის შემუშავებაში ჩართულები იყვნენ პარტნიორი ევროპის უნივერსიტეტები (Transilvania University of Brașov (UTBV), P10 Univerzita Palackeho v Olomouc (PUO), University of Warsaw და UW Philipps-Universität Marburg, UMR).

სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სპეციალური მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია პროფესიონალი სპეციალური მასწავლებლის მომზადება, რომელიც აღჭურვილი იქნება სათანადო საგანმანათლებლო და ფსიქოლოგიური დარგობრივი კომპეტენციებით,

პროგრამას აქვს მკაფიოდ გამოკვეთილი სტრუქტურა, რასაც ეფუძნება სპეციალურად პროგრამისთვის შექმნილი სასწავლო გეგმა. სასწავლო გეგმა მოიცავს სავალდებულო კურსებს, რომელთა სწავლის შედეგები მიმართულია სპეციალური მასწავლებლისთვის აუცილებელი ზოგადი კომპეტენციების განვითარებისკენ შემდეგი მიმართულებებით - ემოციური და ქცევითი დარღვევის მქონე მოსწავლეთა სწავლება, დასწავლის უნარის დარღვევის მქონე მოსწავლეთა სწავლების მეთოდოლოგია, ინტელექტუალური დარღვევის მქონე მოსწავლეების სწავლების მეთოდოლოგია, ყრუ და სმენადაქვეითებული მოსწავლეების განათლება, მხედველობის დარღვევის მქონე პირთა სწავლების მეთოდები და განვითარების თავისებურებები, ენის, მეტყველებისა და კომუნიკაციის დარღვევის მქონე მოსწავლეთა სწავლების მეთოდოლოგია, აუტიზმის სპექტრის მქონე მოსწავლეებთან მუშაობა. პროგრამაში დიდი ადგილი უკავია პრაქტიკის კომპონენტს, რომელიც წარმოდგენილია როგორც კურსებში ჩაშენებული, ისე დამოუკიდებელი 10 კრედიტიანი კურსის ფორმატით.

პრაქტიკის კომპონენტის ფარგლებში დაწესებულება თანამშრომლობს პარტნიორ რესურს სკოლებთან და მათთან გაფორმებული აქვს თანამშრომლობის მემორანდუმი.

დაწესებულება აღჭურვილია ყველა საჭირო რესურსით, რაც აუცილებელია პროგრამის განხორციელებისთვის.

პროგრამის მოცულობა შეადგენს 60 კრედიტს, რომლის ათვისებაც ხდება ერთი აკადემიური წლის - 2 სემესტრის განმავლობაში.

პროგრამის შემუშავებასა და მის განხორციელებაში ჩართულია კვალიფიციური, შესაბამისი სამეცნიერო და პრაქტიკული გამოცდილების მქონე პერსონალი, მათ შორის სპეციალური და ინკლუზიური განათლების სფეროში გამოცდილი პერსონალი, შესაბამისი მიმართულების

[4] პროგრამასთან დაკავშირებული ზოგადი ინფორმაციის მიმოხილვისას, მიზანშეწონილია ასევე წარმოდგენილი იყოს საგანმანათლებლო პროგრამის რაოდენობრივი მონაცემების ანალიზი.

ექსპერტები, შესაბამისი მიმართულების პოლიტიკის შემუშავებაში ჩართული პერსონალი, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების აქტივობებში ჩართული ტრენერები, ექსპერტები და ა.შ.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

ცენტრის დირექტორის ბრძანების (№46439; 18/01/2024) თანახმად, 2024 წლის 29 იანვარს სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში განხორციელდა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი ამავე უნივერსიტეტის სპეციალური მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით.

ვიზიტის განხორციელებამდე ექსპერტთა ჯგუფმა მიიღო შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის მასალები და დაიწყო დოკუმენტაციის გაცნობა. ექსპერტთა ჯგუფმა წინასწარ იმუშავა პროგრამის გაცნობაზე, შეფასებაზე და დაზუსტდა ის აუცილებელი კითხვები, რომლებიც დაისვა ინტერვიუს დროს პროგრამის სტანდარტებსა და კომპონენტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით.

სამუშაო განრიგის მიხედვით, ექსპერტთა ჯგუფი შეხვდა უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის ადმინისტრაციას, თვითშეფასების ჯგუფს, პროგრამის ხელმძღვანელებს, უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელებს. ასევე გაიმართა ინტერვიუები აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან. ექსპერტთა ჯგუფმა ასევე დაათვალიერა უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. ექსპერტთა ჯგუფი გაესაუბრა მომიჯნავე პროგრამის სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებს.

შეხვედრის განმავლობაში დაზუსტდა ინფორმაცია პროგრამის, მისი ცალკეული კომპონენტებისა და სტრუქტურის, შესაბამისი დოკუმენტაციისა და ცალკეული სილაბუსების შესახებ.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ გამოტანილი დასკვნები, რეკომენდაციები და რჩევები ეყრდნობა სწორედ ზემოაღნიშნული დოკუმენტების შესწავლისა და ინტერვიუების შედეგად მიღებულ ინფორმაციას.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

  წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამა სეფასდა ექპსერტთა ჯგუფის მიერ აკრედიტაციის ყველა სტანდარტთან მიმართებით. შეფასების შედეგად ჯგუფმა განსაზღვრა როგორც რჩევები, ასევე რეკომენდაციები პროგრამის გაუმჯობესებით მიზნით.

შეფასების შედეგად პროგრამა სრულად შესაბამისობაშია 2,3,4,5 სტანდარტთან. პირველ სტანდარტთან მიამრთებით დადგინდა მეტწილი შესაბამისობა.

- **რეკომენდაციები**

  - რეკომენდებულია, გადაიხედოს პროგრამის მიზნები. კერძოდ, გამოიკვეთოს არა ზოგადად "მასწავლებლის", არამედ "სპეციალური მასწავლებლის" მომზადებისკენ მიმართული აქცენტები. ასევე მკაფიო გახდეს და დაკონკრეტდეს, რა მოიაზრება საგანმანათლებლო და ფსიქოლოგიურ დარგობრივ კომპეტენციებში.

  - გადაიხედოს პროგრამის სწავლის შედეგები და შესაბამისობაში მოვიდეს ის სასწავლო კურსებისა და სპეციალური მასწავლებლის პროფესიული სტანდარტით განსაზღვრულ სწავლის შედეგებთან.

  - გადაიხედოს სწავლის შედეგების შეფასების გეგმა. კერძოდ, თითოეული სწავლის შედეგის შეფასებისთვის განისაზღვროს ის სასწავლო კურსი და სასწავლო კურსის შეფასების ის კომპონენტი/კომპონენტები, რომლის ფარგლებშიც აკუმულირდება/ჯამდება შესაბამისი სწავლის შედეგი.

  - გადაიხედოს პროგრამის სასწავლო გეგმა. კერძოდ, სასწავლო კურსებისთვის განისაზღვროს მასზე დაშვების წინაპირობები, პროგრამაში განისაზღვროს არჩევითი კომპონენტი;

  - გადაიხედოს პროგრამაზე დაშვების წინაპირობები. კერძოდ, დაზუსტდეს მოტივაციურ გასაუბრებზე აპლიკანტთა გასვლის პირობები. ასევე გადაიხედოს მოთხოვნა სამუშაო გამოცდილებასთან დაკავშირებით და შესაბამისობაში მოვიდეს ის პროგრამის შინაარსთან. აღნიშნული ცვლილების შესაბამისად, გადაიხედოს დასაქმების სფეროები და შესაბამისობაში მოვიდეს ის პროგრამის წინაპირობებსა და მის შინაარსთან.

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

  - სასურველია, სილაბუსებში ძირითადი ლიტერატურიდან მიეთითოს კვირის თემატიკის მიხედვით დასამუშავებელი მასალის გვერდები;
  - სასურველია, გადახიედოს სწავლის შედეგების რუკა. დაზუსტდეს, თითოეული კურსისთვის იმ სწავლის შედეგის მიღწევა, რომელიც ჯამდება/მიიღწევა აღნიშნულ კურსში;

- სასურველია, გადაიხედოს სასწავლო კურსებში განსაზღვრული საკონტაქტო და არასაკონტაქტო საათების განაწილება და შესაბამისობაში მოვიდეს ის კურსის სირთულესა და სპეციფიკასთან.
- დაზუსტდეს პედაგოგიური პრაქტიკის მოცულობა. განისაზღვროს პრაქტიკის მოცულობა როგორც პრაქტიკის დამოუკიდებელი კურსის, ისე კურსებში ჩაშენებული ფორმატის ფარგლებში.
- სასურველია, შეფასების შესახებ სტუდენტთა ინფორმირების მიზნით, გამოყენებული იყოს ერთი პლატფორმა.
- სასურველია, გაძლიერდეს სტუდენტთა ინფორმირება შრომის ბაზარზე მიმდინარე სიახლეების შესახებ. ასევე, გაძლიერდეს სტუდენთა მხარდაჭერა დასაქმებისთვის საჭირო უნარ-ჩვევების გამომუშავების მიზნით.

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)[5]**

პროგრამის შემუშავების პროცესში სპეციალურად პროგრამისთვის შეიქმნა რესურს ოთახი, სადაც განთავსებულია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთათვის სასწავლო რესურსების დამზადებისთვის საჭირო აღჭურვილობა. დაგეგმილია აღნიშნული რესურსებით სარგებლობის შეთავაზება საქართველოს სხვა უნივერსიტეტებისთვის, რაც უნვერსიტეტებს შორის თანამშრომლობის გაღმავების წინაპირობად შეგვიძლია მივიჩნიოთ. ამგვარი თანამშრომლობა პოზიტიურ გავლენას მოხადენს სფეროს განვითარებასა და სფეროში არსებული გამოწვევების გააზრებაზე.

- **ინფორმაცია არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების, ან არ გაზიარების არგუმენტაციის თაობაზე**

დაწესებულებამ წარმოადგინა არგუმენტირებული წერილი (29/03/2024 / N 7016/01-06-03) ექსპერტთა ჯგუფის მიერ მომზადებულ დასკვნის პროექტთან დაკავშირებით. ექსპერტთა ჯგუფი დეტალურად გაეცნო დაწესებულების მოსაზრებებს. წარმოდგენილ წინადადებს შორის საკმარსიად არგუმენტირებული იყო პირველ და მეორე რეკომენდაციის გაერთიანებასთან დაკავშირებული მოსაზრებები, რაც ექსპერტთა ჯგუფმა მიიღო მხედველობაში და პირველი და მეორე რეკომენდაცია (1. რეკომენდებულია, პროგრამის მიზნის ფორმულირებაში გამოიკვეთოს არა ზოგადად "მასწავლებლის", არამედ "სპეციალური მასწავლებლის" მომზადებისკენ მიმართული აქცენტები; 2. რეკომენდებულია, უფრო მკაფიო გახდეს და დაკონკრეტდეს, რა მოიაზრება საგანმანათლებლო და ფსიქოლოგიურ დარგობრივ კომპეტენციებში.) და ჩამოყალიბდა ერთ რეკომენდაციად.

[5] პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული, ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამისათვის

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი განსხვავებული პოზიციები რიგ რეკომენდაციებთან დაკავშირებით საჭიროებს შემოდგომ განხილვასა და დაზუსტებას აკრედიტაციის საბჭოს ფორმატში.

- **ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უსდ-ს მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები. პროგრამის შინაარსი და თანმიმდევრული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ითვალისწინებს სწავლის სფეროს, საფეხურისა და საგანმანათლებლო პროგრამის თავისებურებებს და ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულს ამზადებს პროგრამა და რა წვლილი შეაქვს მას სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშზე, წარმოდგენილ დოკუმენტაციასა და იმ ინფორმაციაზე დაყრდნობით, რომელიც მოგვეწოდა აკრედიტაციის ვიზიტის ფარგლებში განხორციელებულ ინტერვიუების შედეგად, იკვეთება, რომ პროგრამა შემუშავებულია უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალისა და საერთაშორისო ექსპერტების მიერ პროექტის „ინოვაციები კურიკულუმში სოციალური ჩართულობის მხარდასაჭერად“ (CISI) ფარგლებში. შემუშავებული პროგრამის იმპლემენტაციას კი უშუალოდ პროგრამის აკადემიური და მოწვეული პერსონალი განახორციელებს.

სპეციალური მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო აღწერილობაში წარმოდგენილია საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, რომელიც, როგორც დოკუმენტშია გაცხადებული, ერთი მხრივ ეფუძნება სპეციალური მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის უმაღლესი განათლების დარგობრივ მახასიათებელსა და მეორე მხრივ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სპეციალური მასწავლებლის სტანდარტს. დოკუმენტში აღწერილია, რომ პროგრამის მიზანია „პროფესიონალი მასწავლებლის მომზადება, რომელიც აღჭურვილი იქნება სათანადო საგანმანათლებლო და ფსიქოლოგიური დარგობრივი კომპეტენციებით, რაც მას საშუალებას მისცემს, სპეციალური საჭიროების მქონე მოსწავლეებს შეუქმნას ადეკვატური სწავლა-სწავლების შესაფერისი გარემო.“ ასევე ჩანაწერში იკვეთება მეორე მსხვილი მიზანი, რომ პროგრამის მიზანია მოამზადოს ისეთი სპეციალისტი, რომელიც შეძლებს „არსებული გამოწვევების ფონზე საუკეთესო გამოსავლის მოძიებასა და საგანმანათლებლო მიზნების მიღწევას.“ დასახული მიზანი პროგრამის შინაარსის რელევანტურია და გამოკვეთილია იმ ცოდნის, უნარებისა და

კომპეტენციების საჭიროება, რომელიც კურსდამთავრებულს სპეციალური საჭიროების მქონე მოსწავლეების სწავლებისთვის უნდა ჰქონდეს. პროგრამა მიზნად ისახავს ასევე კურსდამთავრებულის სათანადო საგანმანათლებლო და ფსიქოლოგიური დარგობრივი კომპეტენციებით აღჭურვას, რაც ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრებით ზოგადი და ფართო აღწერილობაა. საჭირო გახდა იმის დაზუსტება, თუ რა მოიაზრება საგანმანათლებლო და ფსიქოლოგიურ დარგობრივი კომპეტენციებში. ინტერვიუს პროცესში, უფრო მკაფიო გახდა პროგრამის შემქმნელების ხედვა თუ რა იგულისხმება „ფსიქოლოგიურ დარგობრივ მახასიათებლებში“. როგორც პროგრამის ხელმძღვანელი ამბობს, პროგრამის მიზანი არა მხოლოდ თეორიული ცოდნისა და პრაქტიკული უნარების შეძენაა, არამედ მიმღებლური დამოკიდებულებების ჩამოყალიბება სპეციალური საჭიროებისა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების მიმართ. მნიშვნელოვანია, პროგრამის მიზანში მკაფიოდ გამოჩნდეს ინტერვიუებისას გამოკვეთილი აქცენტები.

პროგრამის მიზანი ითვალისწინებს ადგილობრივი ბაზრის მოთხოვნებს, რაც დასტურდება წარმოდგენილი ბაზრის კვლევის ანგარიშით. მტკიცებულებად წარმოდგენილი კვლევის შედეგები ადასტურებს, რომ დღეისათვის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის კომპეტენტური სპეციალური მასწავლებლის კადრი დეფიციტურია. სკოლებში დასაქმებულია 2187 სპეციალური მასწავლებელი, ხოლო სსსმ მოსწავლეთა რაოდენობა 11 000 მდე აღწევს (ჟურნალი ინკლუზიური განათლება, ნომერი 1, მასწავლებლის სახლი). აღსანიშნავია, რომ სპეციალური მასწავლებლის გამოცდა, რომლის საშუალებითაც პრაქტიკოსი უფროსი სპეციალური მასწავლებელი ხდება 2021 წელს 1000, ხოლო 2022 წელს მხოლოდ 226 პირმა ჩააბარა. ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში ჯერ კიდევ გამოწვევად რჩება სპეციალური მასწავლებლების მიერ კომპეტენციის დადასტურება. შესაბამისად, წარმოდგენილი პროგრამა ეხმიანება როგორც არსებულ გამოწვევას, ამავდროულად შეუძლია, რომ წვლილი შეიტანოს დარგის განვითარებაში და მოამზადოს სათანადო ცოდნითა და უნარებით აღჭურვილი სპეციალური მასწავლებლები.

სააკრედიტაციო ვიზიტის ფარგლებში, სხვადასხვა მხარეებთან შეხვედრამ და ინტერვიუს საშუალებით მიღებულმა ინფორმაციამ ცხადყო, რომ პროგრამის ხელმძღვანელი, აკადემიური პერსონალი, დამსაქმებელი, უნივერსიტეტის ადმინისტრაციული რგოლი კარგად იცნობს, იზიარებს და თანხმდება პროგრამის მიზნის შინაარსსა და აქტუალობაზე.

ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ პროგრამის განმახორციელებლები გეგმავენ უზრუნველყონ პროგრამის საჯაროობა და ხელმისაწვდომობა დაინტერესებული მხარეებისთვის სხვადასხვა გზებისა და მეთოდების გამოყენებით, როგორიცაა ღია კარის დღეები, უნივერსიტეტის ვებ- გვერდი (ამ ეტაპზე პროგრამის აღწერილობა

უნივერსიტეტის საიტზე არ არის გაზიარებული, რადგან მიმდინარეობს პროგრამის აკრედიტაცია), საინფორმაციო ბუკლეტები და ა.შ.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სპეციალური მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო-აღწერილობა (დანართი 1)
- ბაზრის კვლევის ანალიზი (დანართი 7)
- ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მისია https://old.tsu.ge/ge/about/mission_statement/
- მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი (30.06.2020, https://matsne.gov.ge/ka/document/view/ 4841342?publication=0).

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, გადაიხედოს პროგრამის მიზნები. კერძოდ, გამოიკვეთოს არა ზოგადად "მასწავლებლის", არამედ "სპეციალური მასწავლებლის" მომზადებისკენ მიმართული აქცენტები. ასევე მკაფიო გახდეს და დაკონკრეტდეს, რა მოიაზრება საგანმანათლებლო და ფსიქოლოგიურ დარგობრივ კომპეტენციებში.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

-

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.1 პროგრამის მიზნები	☐	☒	☐	☐

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის მიზნებთან და სწავლის სფეროს თავისებურებებთან.
- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებს, ან/და პასუხისმგებლობას და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

წარმოდგენილი დოკუმენტების, თვითშეფასებისა და სააკრედიტაციო ვიზიტის ფარგლებში ჩატარებული ინტერვიუების შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით გამოიკვეთა, რომ პროგრამაში განსაზღვრულია 11 სწავლის შედეგი. შედეგები აღწერს კურსდამთავრებულის ცოდნას, უნარებს, პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას. სწავლის შედეგები შინაარსობრივად გამომდინარეობს პროგრამის მიზნიდან, კერძოდ სპეციალური მასწავლებელი აღიჭურვოს ისეთი ცოდნითა და უნარებით, რომ შეძლოს „საჭიროების მქონე მოსწავლეებისთვის შექმნას სწავლა-სწავლების ადეკვატური გარემო". მაგალითად, სწავლის შედეგებში აღწერილია ისეთი უნარები, როგორიცაა საჭიროებების ამოცნობა და რეფერირება, ინდივიდუალური გეგმის შემუშავება და განხორციელება სწორედ ის უნარებია, რომელიც სპეციალურ მასწავლებელს სჭირდება ყოველდღიურ პრაქტიკაში დასახული მიზნის მისაღწევად.

წარმოდგენილი სწავლის შედეგები გაზომვადი, მიღწევადი და რეალისტურია, როგორიცაა ინკლუზიური განათლების არსის, პრინციპებისა და ფილოსოფიური საფუძვლების შესახებ მსჯელობა, ისგ-ს შემუშავების პროცესში ესგ-ს ადაპტაციის შესაძლებლობების განსაზღვრა, სასკოლო საზოგადოების გავლენის განმარტება და დასაბუთება ინდივიდის აკადემიურ მიღწევასა და კეთილდღეობაზე, საჭიროებების დადგენა და რეფერირება, ისგს-შედგენა და განხორციელება. კურსის შინაარსისა და წარმოდგენილი მასალის (კურსების სილაბუსები, საკითხავი მასალა) გაცნობის შედეგად ცხადია, რომ კურსდამთავრებულს ექნება ცოდნა განვითარების სხვადასხვა დარღვევების ძირითადი მახასიათებლების შესახებ. სხვადასხვა დარღვევების მახასიათებლებისა და მათი სპეციფიკის შესწავლას პროგრამა საკმაოდ დიდ დროს და მოცულობით სამუშაოს უთმობს. რაც პროგრამის სწავლის შედეგებში არ არის მკაფიოდ გამოკვეთილი. სწავლის შედეგებში ბავშვის განვითარების კანონზომიერებების აღწერაზეა ყურადღება გამახვილებული მაშინ როცა ცალკეულ კურსებსა და შეფასების მეთოდებში არსებითად დარღვევის მახასიათებლებსა და მათზე რეაგირების სტრატეგიებზეა ყურადღება გამახვილებული.

პროგრამის სწავლის შედეგების სასწავლო კურსების სწავლის შედეგებთან შესაბამისობის სადემონსტრაციოდ წარმოდგენილია სასწავლო კურსებისა და პროგრამის სწავლის შედეგების შესაბამისობის რუკა. დოკუმენტიდან ირკვევა, რომ თითოეული სწავლის შედეგი კავშირშია უმეტესობა ან ყველა სასწავლო კურსთან (მაგალითად, პროგრამის პირველი და მეორე შედეგი დაკავშირებულია თერთმეტივე საგანთან/კურსთან, მესამე შედეგი - 9 კურსთან და ა.შ.). აღნიშნული გარემოების გამო, შესაძლებელია, რთული გახდეს პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება და სასურველია, გამოიკვეთოს უფრო სპეციფიკური კავშირი პროგრამის სწავლის შედეგებსა და სასწავლო კურსებს შორის. კერძოდ, განისაზღვროს სწავლის შედეგთან დაკავშირებული ის სასწავლო კურსი, რომლის ფარგლებშიც ჯამდება და მიიღწევა

შესაბამისი სწავლის შედეგი რომელსაც სტუდენტი კომპლექსურად ავლენს ადეკვატურად შერჩეული შეფასების მეთოდის ფარგლებში. ან სწავლის შედეგის მიღწევა განისაზღვროს დონეების მიხედვით (მაგ. გაცნობა, გაღრმავება, შეჯამება). დეტალური მსჯელობა სწავლის შედეგების რუკის სწავლის შედეგების შეფასებასთან კავშირების შესახებ იხილეთ 1.3 სტანდარტში.

პროგრამაში წარმოდგენილი სწავლის შედეგები ფაქტობრივად სრულად იმეორებს სპეციალური მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლის შედეგებს. აღნიშნულის ძლიერი მხარეა, რომ პროგრამა და დარგობრივი მახასიათებლები ერთსა და იმავე ნიშნულების მიღწევაზეა ორიენტირებული და ჰარმონიზებულია, თუმცა გარკვეულწილად სასურველია თავად პროგრამის უნიკალობა და ინდივიდუალურობა მეტად გამოიკვეთოს. ამავდროულად, დარგობრივი მახასიათებლის მესამე მიზანი ხაზს უსვამს იმას, რომ სპეციალურ მასწავლებელსს უნდა ჰქონდეს ცოდნა განვითარების დარღვევებისა და მათი გამოვლინებების შესახებ. მართალია, პროგრამის კურსები იძლევა ამ ცოდნის შეძენის შესაძლებლობას, თუმცა პროგრამის სწავლის შედეგში დარღვევებისა და მათი გამოვლინებების აღწერა არ არის გამოკვეთილი.

წარმოდგენილი სწავლის შედეგები ეხმიანება ბაზრის მოთხოვნებს და აღწერს იმ უნარებს, რომელიც სჭირდება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მომუშავე სპეციალურ მასწავლებელს სპეციალური მასწავლებლის სტანდარტის მიხედვით. ასევე, აღსანიშნავია, რომ ვიზიტის ფარგლებში აკადემიურ პერსონალთან ინტერვიუს დროს წარიმართა მსჯელობა პროგრამის შედეგების შესახებ. აკადემიურ პერსონალს აქვს მკაფიო წარმოდგენა თუ რა უნარებსა და ცოდნას უნდა ფლობდეს კურსდამთავრებული. დისკუსიის დროს გამოიკვეთა ისეთი კომპეტენციები, როგორიცაა სსსმ მოსწავლის შეფასება, სწავლა-სწავლების სტრატეგიების ცოდნა და რთული ქცევის მართვა. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ჩამოთვლილ კომპეტენციებს შორის რთული ქცევის მართვა პროგრამის სწავლის შედეგებში არ არის გამოკვეთილი. აღნიშნული სწავლის შედეგი განსაზღვრულია ასევე სპეციალური მასწავლებლის პროფესიული სტანდარტით.

ინტერვიუებითა და თვითშეფასებით ირკვევა, რომ პროგრამის სწავლის შედეგების შემუშავებაში ჩართულნი იყვნენ აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალი, ასევე დამსაქმებლები. რადგან პროგრამას ჯერჯერობით კურსდამთავრებული არ ჰყავს, პროგრამის შემუშავების პროცესში მოხდა მომიჯნავე პროგრამის კურსდამთავრებულთა გამოკითხვა და გამოკითხვის შედეგების გათვალისწინება. ასევე პროგრამის სხვადასხვა კურსების პილოტირება მომიჯნავე პროგრამაში და გამოცდილების საფუძველზე ცვლილების განხორციელება. პროგრამის განმახორციელებელი უზრუნველყოფს პროგრამის საჯაროობას, ხელმისაწვდომობას და გაზიარებას დაინტერესებულ მხარეებს შორის. პროგრამის შემუშავება დაეყრდნო

ბაზრის კვლევასა და გარე შეფასების შედეგებს, ამავდროულად პროცესში გათვალისწინებული იყო სხვადასხვა მხარეები, როგორიცაა დამსაქმებელი, მომიჯნავე სფეროს სტუდენტები. პროგრამის აკრედიტაციის შემდგომ პროგრამის ხელმძღვანელს აქვს მკაფიო გეგმა უზრუნველყოს პროგრამის შედეგების საჯაროობა ვებ-გვერდზე გაზიარების, სტუდენტებთან ღია კარის დღეებისა და შეხვედრების გზით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სპეციალური მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო-აღწერილობა (დანართი 1)
- ბაზრის კვლევის ანალიზი (დანართი 7)
- „სპეციალური მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის“ სწავლის შედეგების პირდაპირი შეფასება, რუკა N3 (დანართი 4)
- კურიკულუმის რუკა - „სპეციალური მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის“ სწავლის შედეგებისა და კურსების შესაბამისობა, რუკა N2 (დანართი 4)
- პროგრამის მიზნებისა და შედეგების შესაბამისობა, რუკა N1 (დანართი 4)
- სილაბუსები (დანართი 1)
- ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები:

- გადაიხედოს პროგრამის სწავლის შედეგები და შესაბამისობაში მოვიდეს ის სასწავლო კურსების სწავლის შედეგებთან.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია, გადაიხედოს სწავლის შედეგების რუკა. დაზუსტდეს, თითოეული კურსისთვის იმ სწავლის შედეგის მიღწევა, რომელიც ჯამდება/მიიღწევა აღნიშნულ კურსში.

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.2 პროგრამის სწავლის შედეგები	☐	☒	☐	☐

1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი

- განსაზღვრულია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს.
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ანალიზი გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა;

თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სპეციალური მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასებისთვის დაგეგმილია როგორც პირდაპირი, ისე არაპირდაპირი მეთოდები. როგორც ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის თანამშრომლებთან ინტერვიუების შედეგად გამოიკვეთა, სპეციალური მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დაინერგება უნივერსიტეტში უკვე არსებული და გამოცდილი სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა დეტალურად აღწერა სწავლის შედეგების შეფასების ერთი სრული ციკლი მომიჯნავე საგანმანათლებლო პროგრამის მაგალითზე. როგორც წარმოდგენილმა მტკიცებულებებმა, ისე ინტერვიუს შედეგებმა დაადასტურა, რომ სწავლის შედეგების შეფასების პროცესი ციკლური პროცესია და მისი შედეგები ინფორმირებული და მტკიცებულებებზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების საფუძველი ხდება.

მონაცემთა მოკრების არაპირდაპირი მეთოდების გამოყენებით დაგეგმილია აკადემიური და მოწვეული პერსონალის, სტუდენტების, ადმინისტრაციის, პოტენციური დამსაქმებლების გამოკითხვები. პროგრამას მტკიცებულების სახით თან ახლავს შესაბამისი ინსტრუმენტები.

პროგრამას მტკიცებულების სახით თან ახლავს სწავლის შედეგების შეფასების გეგმა. აღნიშნული გეგმა მოიცავს სწავლის შედეგებს, იმ სასწავლო კურსებს, რომლებიც უზრუნველყოფენ შესაბამისი სწავლის შედეგის მიღწევას, სამიზნე ნიშნულებს,

შეფასების პერიოდულობასა და შეფასებაზე პასუხისმგებელ პირებს. ექსპერტთა ჯგუფის მიერ გეგმის შესწავლის შედეგად დგინდება, რომ სწავლის შედეგების შეფასებისთვის გამოიყენება სტუდენტთა მიერ მიღწეული შედეგები იმ სასწავლო კურსების ფარგლებში, რომელი სასწავლო კურსიც გადის შესაფასებელ სწავლის შედეგზე. შეფასებისთვის გამოიყენება შესაბამისი კურსის თითქმის ყველა შეფასების კომპონენტი. ყურადღებას იქცევს ის ფაქტი, რომ სასწავლო კურსები და შესაბამისი შეფასების კომპონენტები საერთოა/მეორდება რამდენიმე სწავლის შედეგის შემთხვევაში. მაგ. სასწავლო კურსის „სპეციალური და ინკლუზიური განათლების საფუძვლები“ შეფასების კომპონენტები (ესსე, პრეზენტაცია, შუალედური გამოცდა, დასკვნითი გამოცდა) გამოიყენება პროგრამის შვიდი სწავლის შედეგების შეფასებისთვის. ამგვარი მიდგომა ართულებს შეფასებისა და ანალიზის პროცესს. კერძოდ, რთულია, შეფასების შედეგები ზუსტად დაუკავშირო შვიდი შედეგიდან რომელიმეს და საჭიროების შემთხვევაში, დაიგეგმოს უშალოდ გამოწვევებზე ორიენტირებული და დამიზნებული ინტერვენციები. ინტერვიუების შედეგად აღნიშნული საკითხი განიხილა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებმა. მათ აღნიშნეს, რომ უნივერსიტეტი მუდმივად აკვირდება სწავლის შედეგების შეფასების პროცესს. დაგეგმილია შესაბამისი საუნივერსიტეტო რეგულაციების გადახედვა და სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმის ცვლილება.

აღნიშნული მსჯელობიდან გამომდინარე, ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, გადაიხედოს სპეციალური მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი. კერძოდ, თითოეული სწავლის შედეგის შეფასებისთვის განისაზღვროს ის სასწავლო კურსი და სასწავლო კურსის შეფასების ის კომპონენტი, რომლის ფარგლებშიც აკუმულირდება/ჯამდება შესაბამისი სწავლის შედეგი და არა ყველა ის კურსი და შეფასების კომპონენტი, რომელიც უზრუნველყოფს შესაბამისი სწავლის შედეგის მიღწევისთვის მომზადებას. მნიშვნელოვანია ასევე, რომ სამიზნე ნიშნულები არ განმეორდეს ერთზე მეტ სწავლის შედეგზე. ამით უზრუნველყოფილი იქნება პროგრამის განხორციელების პროცესში გამოწვევების იდენტიფიცირება და ზუსტი, საჭიროებაზე დაფუძნებული ინტერვენციების განსაზღვრა და განხორციელება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანამანათლებლო პროგრამა;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების გეგმა;
- სასწავლო კურსის სილაბუსები;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

- გადაიხედოს სწავლის შედეგების შეფასების გეგმა. კერძოდ, თითოეული სწავლის შედეგის შეფასებისთვის განისაზღვროს ის სასწავლო კურსი და სასწავლო კურსის შეფასების ის კომპონენტი/კომპონენტები, რომლის ფარგლებშიც აკუმულირდება/ჯამდება შესაბამისი სწავლის შედეგი.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი	☐	☒	☐	☐

1.4. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

- პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით.
- პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

სპეციალური მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა შემუშავებულია სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დადგენილება N100/2020 დაყრდნობით, რომელშიც წარმოდგენილია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების პროცედურები. პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი, კურიკულუმი, ხელმძღვანელის ფუნქცია-მოვალეობების აღწერა, კურსის სილაბუსები წარმოდგენილია უსდ-ში არსებული მეთოდოლოგიური დოკუმენტის შესაბამისად. წარმოდგენილი ოქმები და ინტერვიუს შედეგები ავლენს, რომ პროგრამის შემუშავების პროცესს ორგანიზებას უწევდა პროგრამის ხელმძღვანელი, ხოლო პროცესში ჩართული იყო აკადემიური პერსონალი,

პარტნიორი უნივერსიტეტების წარმომადგენლები პროექტ CISI -ს ფარგლებში და უნივერსიტეტის (თსუ-ს) ფაკულტეტის ხარისხის განყოფილების სპეციალისტები.

რაც შეეხება პროგრამის სტრუქტურას, სპეციალური მასწავლებლის მომზადების 60 კრედიტიანი პროგრამა წარმოდგენილია ორი სემესტრის, 10* 5 კრედიტიანი კურსისა და 1* 10 კრედიტიანი პრაქტიკის სახით. კურიკულუმის მიხედვით სტუდენტებს შეეთავაზებათ 6 საგანი/კურსი ერთ სემესტრში, ხოლო 4 საგანი და 1 10 კრედიტიანი პრაქტიკა მეორე სემესტრში. პროგრამა აგებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და ECTS - კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემის შესაბამისად. აღსანიშნავია, რომ სილაბუსების მიხედვით არც ერთ კურსს არ გააჩნია კურსზე დაშვების წინაპირობა და ყველა მათგანი არის სავალდებულო სახის. მიუხედავად იმისა, რომ პროგრამის სასწავლო გეგმაში კურსები 2 სემესტრზე გადანაწილებულია ლოგიკურად, მაინც მნიშვნელოვანია განისაზღვროს კურსებზე დაშვების წინაპირობები. ამით სასწავლო კურსებს შორის შინაარსობრივი ბმები უფრო მკაფიო ხდება დაინტერესებული მხარეებისთვის. გარდა ამისა, პროგრამის განხორციელების პროცესში ვხვდებით განსხვავებულ შემთხვევებს, მაგ. როდესაც სტუდენტი პირველ სემესტრში ვერ მოიპოვებს კრედიტს რომელიმე კურსის/კურსების ფარგლებში, მისთვის მკაფიოდ უნდა იყოს განსაზღვრული, რომელ კურსზე/კურსებზე დაშვებაა მისთვის შეზღუდული მომდევნო სემესტრში. წინაპირობებთან დაკავშირებით წარმოდგენილი მიდგომით, სტუდენტს, რომელიც პროგრამის დაგეგმილი ციკლიდან ამა თუ იმ მიზეზით ამოვარდნილია (კურსის ჩავარდნა, სტატუსის შეჩერება და ა.შ.), შესაძლებლობა აქვს ნებისმიერი კურსი ნებისმიერ ეტაპზე გაიაროს კურსისთვის საჭირო წინარე ცოდნისა და შესაბამისი კომპეტენციების მიუხედავად. ასეთ შემთხვევაში, განსაკუთრებით აქტუალურია პრაქტიკის კურსებზე დაშვების პირობების განსაზღვრა.

პროგრამის სტრუქტურის შესახებ ინტერვიუში მსჯელობისას გამოიკვეთა, რომ პროგრამის ხელმძღვანელის არგუმენტაციით პირველ სემესტრში წარმოდგენილია ინკლუზიური განათლების შესახებ თეორიული ასპექტები, რაც ქმნის თეორიულ ბაზისს და ასევე ის კონკრეტული განვითარების დარღვევები, რომელიც ყველაზე ხშირადაა გავრცელებული საგანმანათლებლო დაწესებულებებში, ხოლო მეორე სემესტრში ემატება სხვადასხვა დარღვევები და პრაქტიკული კომპონენტი.

შეთავაზებული კურსების თანმიმდევრულობა და სიღრმე ასახულია კურიკულუმის რუკაში (დანართი 4), თუმცა კურსების მიერ პროგრამის შედეგების მიღწევების სიღრმის განსაზღვრა ზოგიერთ შემთხვევაში არაზუსტია. მაგალითად, სწავლის მეორე შედეგი (ინდივიდუალური სასწავლო გეგმის (ისგ) შემუშავების პროცესში განსაზღვრავს ესგ-ის ადაპტაციის, აკომოდაციისა თუ მოდიფიკაციის შესაძლებლობას და აცნობიერებს სწავლა-სწავლების პროცესში პოზიტიური გარემოს მნიშვნელობას) ყველა კურსში, გარდა პრაქტიკისა, გაცნობით დონეზეა. დეტალური

მსჯელობა პროგრამის სწავლის შედეგების რუკის შესახებ იხილეთ სტანდარტი 1.2 და 1.3-ში.

პროგრამაში შეთავაზებული კურსების კრედიტების მოცულობა (5 ECTS) განაწილებულია 80 დამოუკიდებელ სამუშაო საათად თითოეულ კურსში (გარდა პრაქტიკისა), და 45 საკონტაქტო საათად. აღსანიშნავია, რომ კურსების ფარგლებში წარმოდგენილი თემები, შესასრულებელი თეორიული თუ პრაქტიკული დავალებები და განსაკუთრებით საკითხავი მასალის ოდენობა და მოცულობა გარკვეული დოზით აჭარბებს კრედიტის მოცულობას. მაგალითად, მეორე სემესტრში სტუდენტი 90 საათს ატარებს პრაქტიკის ველზე (რაც კვირაში დაახლოებით 6 საათია), 45 საათს ლექცია-სემინარებზე 5 საგანში (რაც კვირაში 15 საათია) და ჯამში კვირაში უშუალოდ უნივერსიტეტში ან პრაქტიკაზე ვიზიტისთვის სჭირდება 20 საათზე მეტი. აღნიშნულმა დატვირთვამ შესაძლოა არარეალისტური გახადოს სტუდენტების მიერ მოცულობითი მასალების დამუშავება და წაკითხვა. მით უფრო, ინტერვიუზე გაჟღერდა, რომ კურსების პილოტირებამ აჩვენა, რომ 300 კრედიტიანი პროგრამის სტუდენტებისთვის საკითხავი მასალების მოცულობა კრიტიკულად იქნა შეფასებული. ასევე, ინტერვიუში გაჟღერდა პროგრამის განმხორციელებლების მოლოდინი იმასთან დაკავშირებით, რომ სპეციალური მასწავლებლის პროგრამის მომავალი სტუდენტები დასაქმებულები იქნებიან.

პროგრამის შინაარსის ძლიერი მხარეა ახალი კვლევის შედეგებისა და სფეროს მიღწევების გათვალისწინება. პროგრამაში გამოყენებულია თანამედროვე, კვლევებსა და აკადემიურ ლიტერატურაზე დაყრდნობით მომზადებული მასალები. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ პროგრამის კურსების შინაარსის შესასწავლად მასალები ქართულ ენაზეა მომზადებული, რაც სტუდენტებისთვის უზრუნველყოფს უცხო ენის არცოდნით გამოწვეული ბარიერების მინიმუმამდე დაყვანას. გარდა ამისა, პროგრამის განხორციელებისთვის უნივერსიტეტში არსებობს მატერიალური და ტექნიკური მზადყოფნა. მაგალითად, მხედველობის დარღვევის მქონე პირთა სწავლების მეთოდებისა და განვითარების თავისებურებების კურსისთვის შეძენილია სხვადასხვა აღჭურვილობები და დამხმარე მასალები.

პროგრამის შინაარსში, ასევე შემუშავების პროცესში გათვალისწინებულია ინტერნაციონალიზაციის საკითხები. აღნიშნული დასტურდება ერთი მხრივ პროგრამის შემუშავების პროცესში (პროექტ CISI ფარგლებში) უცხოელი პარტნიორების ჩართულობითა და საერთაშორისო პრაქტიკის შესწავლით უშუალოდ ვიზიტების საშუალებითა და უცხოური საუკეთესო პრაქტიკის გათვალისწინებით, ხოლო მეორე მხრივ სასწავლო კურსებში გამოყენებულია სხვადასხვა უცხოური წყაროები როგორც ძირითად მასალაში თარგმნილი სახით, ასევე დამატებითი საკითხავების სახით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- პროგრამის დაგეგმვისა და შემუშავების მეთოდოლოგია (დანართი 3)
- სპეციალური მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო-აღწერილობა (დანართი 1)
- ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის სპეციალური მასწავლებლის მომზადების საგაგნამანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმა (დანართი 1)
- სილაბუსები (დანართი 1)
- სამუშაო შეხვედრების ოქმები (დანართი 3)
- კურიკულუმის რუკა - „სპეციალური მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის“ სწავლის შედეგებისა და კურსების შესაბამისობა, რუკა N2 (დანართი 4)
- ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები:

- გადაიხედოს პროგრამის სასწავლო გეგმა. კერძოდ, სასწავლო კურსებისთვის განისაზღვროს მასზე დაშვების წინაპირობები, პროგრამაში განისაზღვროს არჩევითი კომპონენტი;

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია, გადაიხედოს სასწავლო კურსებში განსაზღვრული საკონტაქტო და არასაკონტაქტო საათების განაწილება და შესაბამისობაში მოვიდეს ის კურსის სირთულესა და სპეციფიკასთან.
- სასურველია, სილაბუსებში ძირითადი ლიტერატურიდან მიეთითოს კვირის თემატიკის მიხედვით დასამუშავებელი მასალის გვერდები.

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.4 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი	☐	☒	☐	☐

1.5 სასწავლო კურსი/საგანი

- სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა უზრუნველყოფს ამ კურსით/საგნით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.
- ძირითადი სფეროს სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და სწავლის შედეგები უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

პროგრამაში წარმოდგენილია 11 კურსი/საგანი. მათგან 10 კურსის კრედიტების მოცულობაა 5, ხოლო მეთერთმეტე პრაქტიკის კომპონენტი 10 კრედიტიანია. სასწავლო კურსების სილაბუსებში წარმოდგენილია კურსის მიზნები და მისაღწევი შედეგები. სასწავლო კურსის სწავლის შედეგები (ცოდნა, უნარები, პასუხისმგებლობა და ავტონომოურობა) დაკავშირებულია და უზრუნველყოფს კურსის მიზნის მიღწევას. კურსების სწავლის შედეგები ნათლადაა ჩამოყალიბებული და კურსების შინაარსი, როგორც საკითხავი მასალა და კვირების განმავლობაში გაწერილი თემატიკა სრულად შეესაბამება კურსების სპეციფიკას, მიზანსა და სწავლის შედეგებს. კურსის სილაბუსებში წარმოდგენილი შეფასების მეთოდები მრავალფეროვანია.

სასწავლო კურსების ძლიერი მხარეა საკითხავი მასალა, რომელიც უახლეს წყაროებზე დაყრდნობითაა მომზადებული და შედგენილია იმგვარად, რომ სტუდენტს შესაძლებლობა აქვს თითოეული კურსის თემა შეისწავლოს ქართულ ენაზე არსებული მასალების გამოყენებით. სასწავლო მასალა საკმაოდ მოცულობითია, თითოეული ე.წ. „რიდერი“ დაახლოებით 250-300 გვერდია. გარდა ამისა, სილაბუსებში მითითებულია, რომ „სემინარებზე მიმდინარეობს სალექციო თემების გაშლა-გაღრმავება დამატებითი ლიტერატურის საფუძველზე.“ მნიშვნელოვანია სასწავლო მასალის რაოდენობისა და მოცულობის რეალისტურობის შენარჩუნება, რისი მზაობაც გამოიკვეთა პროგრამის ხელმძღვანელისა და აკადემიური პერსონალის მხრიდან. ინტერვიუს პროცესში აკადემიურმა პერსონალმა გაგვიზიარა კურსების პილოტირების გამოცდილება. მათი თქმით, სტუდენტებისთვის საკითხავი მასალა ჭარბად შეფასდა, რის გამოც განახორციელეს ცვლილებები და მასალის შემცირება. თუმცა გამომდინარე იქიდან,

რომ სილაბუსებში მითითებული არ არის საკითხავი მასალის მოცულობა კვირეების მიხედვით, გართულდა შესაბამისი ანალიზი და დასკვნები ექსპერტების მხრიდან. დეტალური მსჯელობა აღნიშნული საკითხის შესახებ იხილეთ 1.4 სტანდარტში.

შესწავლილი დოკუმენტებისა და ინტერვიუს საფუძველზე გამოიკვეთა, რომ კურსების შემუშავება თანამონაწილეობითი პროცესი იყო. კურსის უმეტეს სილაბუსში, ასევე სილაბუსისთვის მომზადებულ საკითხავ მასალებში, ე.წ. რიდერებში, ჩანს, რომ ცალკეული კურსები არა ერთი პირის, არამედ რამდენიმე სხვადასხვა ლექტორისა თუ სპეციალისტის მიერაა შემუშავებული.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სპეციალური მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო-აღწერილობა (დანართი 1)
- სილაბუსები (დანართი 1)
- სასწავლო მასალები - კურსის რიდერები https://cisi.tsu.ge/useful/indexge.html?fbclid=IwAR3-qrxnc52bXO4GzzH_s7c8iwsHJEVjCM-lVpTW2xz4UPQz46iRiJTVdew
- ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

o

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.5 სასწავლო კურსი/საგანი	☒	☐	☐	☐

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☒
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	☐

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება ითვალისწინებს პროგრამის სწავლის სფეროს თავისებურებებს, საფეხურის მოთხოვნებს, სტუდენტთა საჭიროებებს და უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები, რომელიც უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნისა და უნარების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევისათვის.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

პროგრამის ჩარჩო აღწერილობა განსაზღვრავს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებს.

საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად. კერძოდ,

კანდიდატი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ პირობებსა და მოთხოვნებს:

1. ფლობდეს ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებულ დიპლომს;
2. ჰქონდეს საგანმანათლებლო ინსტიტუციებში (სკოლები, სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებები და ა.შ.), დღის ცენტრებსა და ანალოგიურ დაწესებულებებში სწავლების არანაკლებ ორწლიანი გამოცდილება, რომელიც დასტურდება შესაბამისი დოკუმენტაციით (დამსაქმებელი ორგანიზაციის მიერ გაცემული ცნობით).

3. წარმატებით ჰქონდეს ჩაბარებული შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებული გამოცდა.

წარმატებით გაიაროს შიდა საუნივერსიტეტო გასაუბრება სპეციალურად შექმნილ კომისიასთან, სადაც წარმოჩენილი იქნება კანდიდატის პროგრამაზე სწავლის მოტივაცია და სამომავლო გეგმები.

პროგრამის ჩარჩო-დოკუმენტის მიხედვით, მოტივაციურ გასაუბრებაზე გასვლა სავალდებულოა ყველა აპლიკანტისთვის და პროგრამაზე დაშვების სავალდებულო ეტაპს წარმოადგენს. პროგრამას დანართის სახით თან ახლავს ასევე მოტივაციური გასაუბრების შეფასების ინსტრუმენტი. აღნიშნული ინსტრუმენტის აღწერით ნაწილში კი, განმარტებულია, რომ მოტივაციურ გასაუბრებაზე გადიან მხოლოდ ის აპლიკანტები, რომლებიც შეფასებისა და გამოცდები ეროვნული ცენტრის ორგანიზებულ შესაბამის გამოცდაზე თანაბარ ქულებს მიიღებენ. აღნიშნული განმარტება წინააღმდეგობაში მოდის პროგრამის ჩარჩო-აღწერილობაში მითითებულ დაშვების პირობებთან.

პროგრამის შინაარსი, შესაბამისი სასწავლო თემები, განსაზღვრული სწავლის შედეგები, დამხმარე სასწავლო რესურსები, ძირითად შემთხვევაში, მომართულია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სპეციალური მასწავლებლის მომზადებისკენ. აღნიშნული გარემოება დაადასტურა ასევე პროგრამაში ჩართულმა პერსონალმა და პროგრამის ხელმძღვანელმა ინტერვიუების მსვლელობისას. პროგრამის აღწერით ნაწილში კი, მითითებულია, რომ პროგრამაზე დაიშვება როგორც სკოლაში, ასევე სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებაში და ა.შ. სამუშაო გამოცდილების მქონე პირი. ბუნდოვანია, როგორ უკავშირდება მაგ. სკოლამდელ დაწესებულებაში მიღებული ცოდნა და გამოცდილება პროგრამის შინაარსს და ასეთ შემთხვევაში, უზრუნველყოფს საჭირო ცოდნისა და უნარების მქონე პირების ჩარიცხვას პროგრამაზე.

პროგრამა არის ახალი. ინტერვიუებიდან და ვებგვერდზე განთავსებული დაწესებულებაში მოქმედი პროგრამების შესწავლის შედეგად დგინდება, რომ პროგრამის წინაპირობების შესახებ ინფორმაცია განთავსდება უნივერსიტეტის ვებგვერდზე, რაც უზრუნველყოფს ყველა დაინტერესებული პირის ინფორმირებას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- პროგრამის ჩარჩო აღწერილობა;
- სილაბუსები;
- მოტვაციური გასაუბრების ჩატარების წესი;

- ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები:

- გადაიხედოს პროგრამაზე დაშვების წინაპირობები. კერძოდ, დაზუსტდეს მოტივაციურ გასაუბრებზე აპლიკანტთა გასვლის პირობები. ასევე გადაიხედოს მოთხოვნა სამუშაო გამოცდილებასთან დაკავშირებით და შესაბამისობაში მოვიდეს ის პროგრამის შინაარსთან. აღნიშნული ცვლილების შესაბასიდან, გადაიხედოს დასაქმების სფეროები და შესაბამისობაში მოვიდეს ის პროგრამის წინაპირობებსა და მის შინაარსთან.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები	☐	☒	☐	☐

2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო /კვლევითი /შემოქმედებითი /საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო / კვლევითი / შემოქმედებითი / საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტთა პრაქტიკული და ტრანსფერული უნარების განვითარებას, ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას სხვადასხვა პროექტებში, რაც დასტურდება პროგრამის კომპონენტებით, კერძოდ:

პრაქტიკული კომპონენტი პროგრამაში წარმოდგენილია როგორც ცალკეულ სასწავლო კურსებში ჩაშენებული პრაქტიკული კომპონენტის, ისე დამოუკიდებელი მოდულის სახით - ინკლუზიური განათლების პრაქტიკა (სასწავლო-პედაგოგიური პრაქტიკა).

პრაქტიკის მოცულობა, როგორც ეს სასწავლო გეგმაშია მითითებული, შეადგენს 10 კრედიტს და დაგეგმილია სრულად მისი ათვისება პრაქტიკის დამოუკიდებელი

კურსის ფარგლებში, თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ პროგრამა ასევე მოიცავს სასწავლო კურსებს (მაგ. ემოციური და ქცევითი დარღვევის მქონე მოსწავლეთა სწავლება , დასწავლის უნარის დარღვევის მქონე მოსწავლეთა სწავლების მეთოდოლოგია, ყრუ და სმენადაქვეითებული მოსწავლეების განათლება და სხვ.), რომლებიც მოიცავენ პრაქტიკულ დავალებებს. აღნიშნული პრაქტიკული დავალებების შესრულება გათვალისწინებულია პრაქტიკის ადგილებში - პარტნიორ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში. სასწავლო კურსების სილაბუსებში განსაზღვრულია სტუდენტთა შეფასება პრაქტიკული დავალებების ფარგლებში. ექსპერტთა ჯგუფის ეს მიგნება დაადასტურეს როგორც შესაბამისი სასწავლო კურსის ლექტორებმა, ასევე პროგრამის ხელმძღვანელმა. პრაქტიკის ჩაშენებული ფორმატი არ არის აღწერილი პრაქტიკის დოკუმენტში. შესაბამისად, დასაზუსტებელია მისი მოცულობა.

აღსანიშნავია, რომ პრაქტიკული კომპონენტის განხორციელება დაგეგმილია პროგრამის სწავლის შედეგების შესაბამისად. აღნიშნული უზრუნველყოფილია პროგრამის ფარგლებში პრაქტიკის ობიექტებთან გაფორმებული მემორანდუმების საშუალებით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა;
- პროგრამის სასწავლო გეგმა;
- სასწავლო-პედაგოგიური პრაქტიკის გზამკვლევი;
- ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- დაზუსტდეს პედაგოგიური პრაქტიკის მოცულობა. განისაზღვროს პრაქტიკის მოცულობა როგორც პრაქტიკის დამოუკიდებელი კურსის, ისე კურსებში ჩაშენებული ფორმატის ფარგლებში.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
2.2 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი /შემოქმედებითი/ საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება	☒	☐	☐	☐

2.3 სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის/საგნის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

პროგრამის ფარგლებში გამოყენებული სწავლება-სწავლის მეთოდები და აქტივობები უზრუნველყოფენ პროგრამით დადგენილი ცოდნისა და უნარების მიღწევას, სტუდენტისთვის შესაბამისი კომპეტენციების განვითარებას.

პროგრამისთვის შერჩეულია სფეროსთვის/სწავლების საფეხურისთვის შესაბამისი სწავლების მეთოდები და აქტივობები.

პროგრამით გათვალისწინებული შედეგების მისაღწევად, კურსების სპეციფიკიდან გამომდინარე, გამოიყენება შედეგების მიღწევის სხვადასხვა მეთოდი. ამ მრავალფეროვანი მეთოდების გამოყენება უზრუნველყოფს თეორიული და პრაქტიკული ცოდნისა და უნარების განვითარებას. სწავლა-სწავლების პროცესში გამოიყენება შემდეგი ფორმები და მეთოდები:

- ლექცია, სემინარი;
- ანალიზი/სინთეზი;
- დისკუსია/დებატები;
- ევრისტიკული მეთოდი;
- პრაქტიკული მუშაობა (სემინარი, სასწავლო/საველე პრაქტიკა);
- დამოუკიდებელი მუშაობა;
- ელექტრონული რესურსებით სწავლება;
- ჯგუფური მუშაობა;

- პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება;
- შემთხვევის ანალიზი;
- სუპერვიზია;
- გონებრივი იერიში;
- ინტროსპექცია და თვითრეფლექსია;
- კომპეტენციაზე დაფუძნებული სწავლება;
- სიტუაციის მოდელირება და როლური თამაშები;
- ესეს, რეფერატის, პრეზენტაციის მომზადება.

ჩამოთვლილთაგან, კურსის სპეციფიკის გათვალისწინებით სილაბუსებით განსაზღვრულია კურსში გამოყენებული სწავლების მეთოდები. კურსებით განსაზღვრული სწავლების მეთოდები, უზრუნველყოფენ სწავლის შედეგების მიღწევას.

პროგრამის ფარგლებში საჭიროების შემთხვევაში, გამოიყენება სტუდენტთან ინდივიდუალური მიდგომები და ინდივიდუალური სასწავლო გეგმები. სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებების საპასუხოდ პროგრამის ფარგლებში, თითოეული სასწავლო კურსით განსაზღვრულია ლექტორთან დამატებითი კონსულტაციებისთვის გამოყოფილი დრო და ადგილი. საკონსულტაციო განრიგი სასწავლო პროცესის მსვლელობისას საჯაროდ ხელმისაწვდომია. სტუდენტსა და სასწავლო კურსის განმახორციელებელ პერსონალს შორის ინფორმაციისა და მასალების გასაზიარებლად უნივერსიტეტის მიერ გამოყენებულია Moodle-ის ელექტრონულ პლატფორმები ე.წ. LMS და Moodle.

წარმოდგენილი მსჯელობიდან გამომდინარე, პროგრამის ათვისებისთვის გამოყენებული სწავლა-სწავლების მეთოდები უზრუნველყოფს პროგრამით / კურსით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას, შესაბამისობაში კანონმდებლობასთან და ითვალისწინებს პროგრამის/კურსის სპეციფიკას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა;
- სილაბუსები;

- ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
2.3 სწავლება-სწავლის მეთოდები	☒	☐	☐	☐

2.4. სტუდენტების შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა, სანდო და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამას განსაზღვრული აქვს სტუდენტის სწავლის შედეგების (მიღწევების) შეფასების მექანიზმი.

სწავლის შედეგების შეფასება ხდება თანმიმდევრულად, გამჭვირვალედ, წინასწარ განსაზღვრული პერიოდულობით, სამართლიანია და შესაბამისია კანონმდებლობასთან. სტუდენტის მიღწევების შეფასებისას უნივერსიტეტი ხელმძღვანელობს კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული (ECTS) სისტემით (ბრიუსელი, 2005.14.02); ,,უმაღლესი განათლების შესახებ'' საქართველოს კანონით (2004.21.12) და „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტების გაანგარიშების“ დამტკიცებული წესის შესაბამისად (საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №3; 2007.05.01) განსაზღვრულია შეფასება 100 ქულიანი სისტემით, რომელიც მოიცავს შუალედურ და დასკვნით შეფასებებს.

სასწავლო კომპონენტში სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევის დონის შეფასება მოიცავს შეფასების ისეთ ფორმებს, როგორებიცაა შუალედური (ერთ- ან

მრავალჯერადი) და დასკვნითი შეფასება, რომელთა ჯამი წარმოადგენს საბოლოო შეფასებას (100 ქულა). ამასთან, დასკვნითი გამოცდის შეფასება არ უნდა აღემატებოდეს 40 ქულას.

შუალედური და დასკვნითი შეფასება (შეფასების ფორმები) მოიცავს შეფასების კომპონენტს/კომპონენტებს, რომელიც განსაზღვრავს სტუდენტის ცოდნის ან/და უნარის ან/და კომპეტენციების შეფასების ხერხს/ხერხებს: ზეპირი/წერითი გამოცდა, ზეპირი/წერითი გამოკითხვა, საშინაო დავალება, პრაქტიკული სამუშაო და სხვა.

შეფასების კომპონენტი აერთიანებს შეფასების სხვადასხვა მეთოდს, ესენია: ტესტი, ესე, დემონსტრირება, პრეზენტაცია, დისკუსია, პრაქტიკული/თეორიული დავალების შესრულება, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, დისკუსიაში მონაწილეობა და სხვა.

შეფასების კრიტერიუმებით დგინდება სწავლის შედეგების მიღწევის დონე. თითოეულ სასწავლო კურსის სილაბუსში მოცემულია შეფასების ინსტრუმენტები - რუბრიკები ცალკეული შეფასების კომპონენტისთვის. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ყველა სილაბუსში გამოყენებულია ზოგადი ჰოლისტური რუბრიკები. სტუდენტთა და სწავლის შედეგების შეფასების პროცესის სანდოობისა და სამართლიანობის მაღალი სტანდარტის მიღწევისთვის, სასურველია, შემუშავდეს შეფასების კონკრეტული (შეფასების კომპონენტის შინაარსზე ფოკუსირებული კრიტერიუმები), ანალიტიკური რუბრიკები. ეს გააიოლებს სასწავლო კურსებისა და პროგრამის სწავლის შედეგებს შორის მკაფიო კავშირების დემონსტრირებას.

შეფასების თითოეულ ფორმასა და კომპონენტს შეფასების საერთო ქულიდან (100 ქულა) განსაზღვრული აქვს ხვედრითი წილი საბოლოო შეფასებაში (შუალედური შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვარი 21 ქულა; დასკვნითი შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვარი 50%).

დაუშვებელია კრედიტის მინიჭება შეფასების მხოლოდ ერთი ფორმის (შუალედური ან დასკვნითი შეფასება) გამოყენებით. სტუდენტს კრედიტი ენიჭება მხოლოდ დადებითი შეფასების მიღების შემთხვევაში.

სპეციალური მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისას სტუდენტის შუალედური და დასკვნითი შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვრის ხვედრითი წილი აისახება კონკრეტულ სილაბუსში.

შეფასების სისტემა ითვალისწინებს ხუთი სახის დადებით და ორი სახის უარყოფით შეფასებას:

(A) ფრიადი – შეფასების 91-100 ქულა;

(B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;

(C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;

(D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;

(E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა.

(FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;

(F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი

საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტში, FX-ის მიღების შემთხვევაში უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება ვალდებულია დამატებითი გამოცდა დანიშნოს დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში.

პროგრამაში გამოიყენება უკუკავშირის სხვადასხვა ფორმა – აუდიტორიაში, საკონსულტაციო საათებისთვის გამოყოფილ დროს, ან ელექტრონული ფოსტით სტუდენტთა ცოდნის შეფასების პროცესში გამოყენებული შეფასების მეთოდები სრულ შესაბამისობაშია როგორც მთლიანად პროგრამით, ისე მისი ცალკეული კომპონენტით/სასწავლო კურსით განსაზღვრულ სწავლის შედეგებთან, შესაბამის დარგობრივ და ზოგად (ტრანსფერულ) უნარებთან. სასწავლო კურსების შეფასების კომპონენტები და მეთოდები ითვალისწინებს კურსის სპეციფიკას და შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს. მაგ. კურსები, რომლებიც მოიცავენ პრაქტიკის კომპონენტს, განსაზღვრულია პრაქტიკული დავალების შესაბამისი შეფასების მეთოდი და ინსტრუმენტები. სილაბუსებში წარმოდგენილია ასევე შუალედური და დასკვნითი შეფასებები. შუალედური შეფასება დაყოფილია კომპონენტებად, მათ შორის სავალდებულო კომპონენტია შუალედური გამოცდა, რომლის ხვედრით წილს სასწავლო კურსის შინაარსის, შეფასების ფორმების, მეთოდებისა და კრიტერიუმების სწავლის შედეგების გათვალისწინებით განსაზღვრავს კურსის ხელმძღვანელი.

საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების სილაბუსებში ასახული შეფასების მეთოდები ობიექტური და გამჭვირვალეა, ორიენტირებულია სასწავლო კურსის მიზნებსა და სპეციფიკაზე და ემსახურება სტუდენტის მიერ შესაბამისი სასწავლო კურსის სწავლის შედეგების მიღწევას. საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში, შუალედური და დასკვნითი შეფასებებისას გამოყენებულია შეფასების შემდეგი მეთოდები: ზეპირი გამოკითხვა, პრეზენტაცია, შემთხვევის ანალიზი, ტესტი (ღია, დახურული ან კომბინირებული), ესსე, პროექტი და ა.შ.

შეფასების ფორმები, კომპონენტები და მეთოდები არის გამჭვირვალე, გამოქვეყნებულია და წინასწარ ცნობილია სტუდენტისათვის, კერძოდ, სილაბუსების დეტალები სტუდენტს სასწავლო კურსის დაწყებისთანავე ეცნობება და მიეწოდება, ასევე, სასწავლო კურსის სილაბუსები ხელმისაწვდომია სტუდენტსა და სასწავლო კურსის განმახორციელებელ პერსონალს შორის მასალების საკომუნიკაციოდ უნივერსიტეტის მიერ გამოყენებულ Moodle-ისა და LMS ელექტრონულ პლატფორმებზე.

სტუდენტები იღებენ უკუკავშირს, სწავლის შედეგებზე, აგრეთვე, საკუთარი ძლიერი და სუსტი მხარეებისა შედეგების გაუმჯობესების შესახებ ინფორმაციას. შუალედური შეფასების შედეგები სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომია დასკვნით გამოცდამდე. მათ აქვთ შესაძლებლობა გაიგონ შედეგები და მიიღონ ინფორმაცია დაშვებული ხარვეზების შესახებ.

ვიზიტის შედეგად აშკარა გახდა, რომ არსებობს გამოწვევები უსდ-ში დანერგილ შეფასების პლატფორმებთან, კერძოდ, LMS-სა და e-learning-თან დაკავშირებით. ამ ორი სხვადასხვა პლატფორმის არსებობა ქმნის შეფასების პროცესის სიცხადის პრობლემას, რადგან, როგორც სტუდენტებმა აღნიშნეს, ქულათა გარკვეული ნაწილი ერთ პლატფორმაზე იტვირთება, ხოლო მეორე ნაწილი - მეორე პლატფორმაზე. ეს ხშირად ბუნდოვანებას და ცდომილებებს ქმნის. ეს ბუნდოვანება კი თავის მხრივ, აფერხებს სტუდენტებისათვის ქულებზე წვდომის პროცესს. ამავდროულად, სტუდენტთა ნაწილი აღნიშნავს, რომ ორივე პლატფორმის ინტერფეისი არის უკეთ გასამართი, რათა მათ პლატფორმებზე დაუბრკოლებელი ნავიგაცია და შესაბამისად, შეფასების შესახებ ინფორმირება შეუფერხებლად შეძლონ.

სტუდენტის შეფასების პროცედურები გამჭვირვალეა და სამართლიანია. უსდ-ში ჩამოყალიბებული საგამოცდო ცენტრი, რომელიც მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის, უნივერსიტეტის წესდების, აკადემიური საბჭოს დადგენილებების, უნივერსიტეტის რექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტებისა და წინამდებარე დებულების საფუძველზე. ცენტრის თანამშრომლები არიან ცენტრის უფროსი, ცენტრის მთავარი სპეციალისტები, ცენტრის სპეციალისტები. ცენტრში ასევე არის საგამოცდო კომისია, რომელიც ყოველი კონკრეტული შემთხვევისთვის იქმნება რექტორის ბრძანებაზე დაყრდნობით. საგამოცდო კომისია ვალდებულია გაასწოროს საგამოცდო ნაწერები და ცენტრს წარუდგინოს გამოცდის შედეგები. საგამოცდო ნაშრომების შეფასებისას კი სტუდენტის სახელი და გვარი ანონიმურია. შესაბამისად, ცენტრის ამგვარი წყობა მაქსიმალურად უზრუნველყოფს ნაშრომების ობიექტურ და სამართლიან შეფასებას. ყველაფრის მიუხედავად, სტუდენტს ამავდროულად აქვს შესაძლებლობა გაასაჩივროს მიღებული შეფასება, რომელსაც არეგულირებს უსდ-ში მოქმედი შესაბამისი რეგულაცია. აღნიშნული წესით სტუდენტს შესაძლებლობა ეძლევა, წესით დადგენილ ვადაში, მიმართოს

საგამოცდო ცენტრს მის მიერ შესრულებული საგამოცდო ნაშრომის გაცნობის მიზნით, ხოლო სასწავლო კურსის განმახორციელებელ ლექტორს საგამოცდო ნაშრომის განხილვის მიზნით. თუ სტუდენტი ჩათვლის, რომ მის მიერ შესრულებული ნაშრომი შეფასებულია არაობიექტურად, ის უფლებამოსილია იმავე დღეს წერილობითი განცხადების საფუძველზე გაასაჩივროს მიღებული შეფასება. საგამოცდო ცენტრი ვალდებულია, განაცხადის/საჩივრის მიღების შემთხვევაში, დაუყოვნებლივ აცნობოს დეკანს საპრეტენზიო კომისიის შექმნის საჭიროების შესახებ. ცენტრი ვალდებულია, განაცხადის/საჩივრის მიღებიდან 2 (ორი) სამუშაო დღის ვადაში, გააცნოს სტუდენტის ნაშრომი საპრეტენზიო კომისიას. საპრეტენზიო კომისია ვალდებულია, 2 (ორი) სამუშაო დღის ვადაში განიხილოს სტუდენტის ნაშრომი; მიღებული შედეგის ცვლილების ან იმავე შეფასების დატოვების შემთხვევაში, საპრეტენზიო კომისია წარუდგენს საგამოცდო ცენტრს დასაბუთებულ დასკვნას. საპრეტენზიო კომისიის შემადგენლობას, ფაკულტეტის დეკანი წერილობითი ფორმით წარუდგენს რექტორს დასამტკიცებლად. საპრეტენზიო კომისიის წევრები არ შეიძლება იყვნენ საგამოცდო კომისიის წევრები, რათა არ მოხდეს ნაშრომის სუბიექტური გადამოწმება. საპრეტენზიო კომისიის დასკვნა საბოლოოა და აისახება სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ ბაზაში.

სტუდენტთა შეფასებებს დაწესებულება იყენებს პროგრამის ფარგლებში არსებული გასაუმჯობესებელი მხარეების იდენტიფიცირებისა და ცვლილებების განხორციელებისთვის, რათა მიაღწიონ უკეთეს შედეგს. კერძოდ, მიმდინარეობს სტუდენტთა აკადემიური მოსწრების ანალიზი (სტუდენტთა შეფასებების შესწავლა, დინამიკაში დაკვირვება და გაანალიზება) და ამასთანავე, ყოველი სემესტრის ბოლოს სტუდენტებს ეგზავნებათ საგნის შემაფასებელი ე.წ. ‘უკუკავშირის ტესტები’. მიღებული შედეგების შესაბამისად მოსალოდნელია ცვლილებები განხორციელდეს პროგრამის კომპონენტის ფარგლებში გამოყენებული სწავლება-სწავლის მეთოდებისა და აქტივობების მიმართებაში; შესაძლებელია ცვლილებები მოხდეს პროგრამის კომპონენტის კრედიტებისა და შესაბამისად კომპონენტისთვის გამოყოფილი სამუშაო საათების მხრივ. ვიზიტის დროს თავად სტუდენტებმაც აღნიშნეს, რომ უკუკავშირის მსგავსი სისტემა დადებითად აისახება მათი სწავლის პროცესზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანამანათლებლო პროგრამა;
- სილაბუსები;
- საგამოცდო ცენტრის დებულება;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია, სეფასების შესახებ სტუდენტთა ინფორმირების მიზნით, გამოყენებული იყოს ერთი პლატფორმა.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
2.4 სტუდენტების შეფასება	☒	☐	☐	☐

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☒
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	☐

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში; მაგისტრანტებისა და დოქტორანტებისთვის უზრუნველყოფილია სამეცნიერო ხელმძღვანელობის გაწევა სათანადო ხარისხით.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდამჭერი სერვისები

სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებასა და კარიერულ განვითარებაზე კონსულტაციასა და მხარდაჭერას პროგრამაში ჩართული პირების ან/და დაწესებულების სტრუქტურული ერთეულების მიერ. ასევე, სტუდენტს აქვს შესაძლებლობა მისი სწავლების პროცესი იყოს მრავალფეროვანი და ამის შესახებ იღებს შესაბამის ინფორმაციასა და რეკომენდაციას პროგრამაში ჩართული პირების მიერ.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა;

ვიზიტის შედეგად, ცნობილი გახდა, რომ სტუდენტებსა და ადმინისტრაციას შორის დადებითი ურთიერთობაა, რაც გულისხმობს იმას, რომ ადმინისტრაცია მუდამ ცდილობს გადაჭრას სტუდენტების პრობლემები, უპასუხოს მათ კითხვებს და მაქსიმალურად აარიდოს გაურკვევლობა თავიდან. სტუდენტს ნებისმიერ დროს შეუძლია მიმართოს ადმინისტრაციის წარმომადგენელს, რის შედეგადაც გაივლის კონსულტაციას მისთვის საინტერესო კითხვებთან დაკავშირებით. ეს საკითხი მნიშვნელოვანია სტუდენტის უნივერსიტეტის ეკოსისტემაში ინტეგრირებისათვის, რადგან ხშირად ერთ დაბრკოლებას მეორე მოჰყვება, რაც საბოლოოდ მთლიანი სწავლის პროცესის შეფერხებას იწვევს. ადმინისტრაციის ამგვარი ჩართულობა კი მსგავსი შემთხვევების მაქსიმალურად აცილების გარანტია.

სტუდენტებმა აღნიშნეს, რომ ერთი საკითხი, რის ცვლილებასაც ისურვებდნენ, არის ლექციების მოუხერხებელი და შეუთავსებელი გრაფიკი. ლექციები ძირითადად საღამო საათებშია, თუმცა, თითქმის ყოველდღე, რაც პრობლემას ქმნის სტუდენტების სწავლისა და მუშაობის ბალანსის მხრივ. მათი აზრით, პრობლემის გადაჭრა ჰიბრიდული რეჟიმით ან შედარებით მოქნილი გრაფიკით არის შესაძლებელი.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში არსებობს სტუდენტების კარიერული მხარდაჭერის ცენტრი, რომლის ფუნქციათაგან რამდენიმეა:

ა) სტუდენტების ხელშეწყობა დასაქმებისათვის აუცილებელი ზოგადი უნარ-ჩვევების განვითარებაში;

ბ) სტუდენტების ინფორმირება შრომის ბაზრის დინამიკასა და პერსპექტივებზე. მათთვის კონსულტაციების გაწევა შრომის ბაზრის მიმდინარე თუ სამომავლო მოთხოვნებთან დაკავშირებით;

გ) რეგულარული ტრენინგების შეთავაზება სტუდენტებისთვის დასაქმებისთვის აუცილებელი უნარ-ჩვევების განვითარების მიზნით;

ა) პუნქტში გათვალისწინებული ფუნქცია ინტეგრირებულია კურსის სილაბუსებში, თუმცა ბ) და გ) ფუნქციები, სტუდენტების თქმით, განსავითარებელია, რადგან ისედაც მოცულობითი სილაბუსების ფონზე მათ მსგავსი აქტივობები არ ჰქონიათ.

ჩატარებულ შრომის ბაზრის კვლევის ანალიზში მონაწილეობა მიიღო 125-მა სპეციალურმა მასწავლებელმა და 79 საჯარო სკოლის/პროფესიული სასწავლებლის დირექტორმა (71 სკოლის დირექტორმა და 8 პროფესიული სასწავლებლის დირექტორმა). კვლევის შედეგად, მონაწილეთა 52%-მა განაცხადა, რომ 'რთულია' გამოცხადებულ ვაკანსიაზე კვალიფიციური სპეციალური მასწავლებლის შერჩევა. შესაბამისად, შრომის ბაზარზე ნათლად არსებობს სპეც. მასწავლებელთა სიმწირე თუმცა, მაღალი მოთხოვნა, რაც თავის მხრივ, ზრდის სტუდენტების კარიერული მხარდაჭერის ცენტრის ჩართულობის მნიშვნელობას.

სტუდენტებმა ვიზიტის განმავლობაში ასევე აღნიშნეს, რომ ლექტორების მხრიდანაც გრძნობენ მხარდაჭერას. მუდამ იღებენ მათგან რჩევებს, რომლებსაც უნივერსიტეტს გარეთაც, სამუშაო თუ არასამუშაო ცხოვრებაში იყენებენ, რაც საბოლოოდ დიდ მონაწილეობას იღებს სტუდენტთა აკადემიურ და პერსონალურ წინსვლაში.

საბოლოოდ, რომ შევაჯამოთ, უსდ-ს სტუდენეტებისათვის მაქსიმალურად დადებითი და ადვილად ადაპტირებადი გარემო აქვს შექმნილი. სტუდენტთა მოთხოვნებს დიდი ყურადღება ექცევა, რაც თავის მხრივ უქმნის სტუდენტებს აკადემიური წინსვლის მოტივაციას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ინტერვიუს შედეგები;
- ბაზრის კვლევის ანალიზი;
- დეპარტამენტის დებულებები.

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამდააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია, გაძლიერდეს სტუდენტთა ინფორმირება შრომის ბაზარზე მიმდინარე სიახლეების შესახებ. ასევე, გაძლიერდეს სტუდენთა მხარდაჭერა დასაქმებისთვის საჭირო უნარ-ჩვევების გამომუშავების მიზნით.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდამჭერი სერვისები	☒	☐	☐	☐

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☒
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	☐

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

საგანმანათლებლო პროგრამის ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი

- პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია.
- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის სათანადოდ წარმართვას და ასევე, სამეცნიერო- კვლევითი/შემოქმედებითი/ საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ/სამეცნიერო/მოწვეულ პერსონალთან დაკავშირებული რაოდენობრივი მაჩვენებლები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას.
- პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება, ასევე სათანადო კომპეტენცია პროგრამის სწავლის სფეროში და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში.
- პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

სპეციალური მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის აკადემიური პერსონალი სხვადასხვა სამუშაო გამოცდილების, კვალიფიკაციისა და თანამდებობის პირითაა დაკომპლექტებული, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული შინაარსის სწავლებისა და დასახული შედეგების გამომუშავების გამოცდილება და კომპეტენცია. პროგრამის ხელმძღვანელი ამავე უნივერსიტეტის

ასოცირებული პროფესორია. გარდა პროგრამის ხელმძღვანელისა, აკადემიური პერსონალი დაკომპლექტებულია უნივერსიტეტის 3 ასოცირებული პროფესორით და 2 პროფესორით. აღსანიშნავია, რომ პროფესორების კვალიფიკაცია და გამოცდილება მჭიდროდაა დაკავშირებული განათლების, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა მხარდაჭერისა და ინკლუზიური განათლების საკითხებთან. 14 იდან 8 პირი მოწვეული პედაგოგის სტატუსითაა განსაზღვრული. აკადემიური პერსონალის CV-ებით, პროფესორებისა და ასოცირებული პროფესორების სამეცნიერო საქმიანობის შესწავლით დასტურდება, რომ მათი კვალიფიკაცია სრულად შეესაბამება დადგენილ მოთხოვნებსა და პროგრამის განხორციელებისთვის რელევანტურია. აღსანიშნავია, რომ სპეციალური მასწავლებლის მომზადების პროგრამის ჯეროვნად განხორციელებას ხელს შეუწყობს მოწვეული სპეციალისტების ჩართულობა პროგრამაში, რადგან თითოეულს აქვს მდიდარი პრაქტიკული გამოცდილება და მოცემული მომენტისათვის საქმიანობს სპეციალური და ინკლუზიური განათლებისთვის რელევანტურ უწყებებში. მაგალითად, რესურს-სკოლა, მასწავლებლის პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი, მანდატურის სამსახური და ა.შ.

დოკუმენტაციაში წარმოდგენილია აკადემიური პერსონალის განაწილება ცალკეული საგნების/კურსების მიხედვით, რომლიდანაც იკვეთება, რომ კურსების ნაწილს უძღვება 2 ლექტორი, ხოლო ზოგიერთ შემთხვევაში, კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე განსაზღვრული 1 ლექტორი, მაგალითად, ინკლუზიური განათლების მეთოდური საკითხები და დასწავლის უნარის დარღვევის მქონე მოსწავლეთა სწავლების მეთოდოლოგია. ჩამონათვალში (სპეციალური მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა- აკადემიური პერსონალის ჩამონათვალი საგნების მითითებით) არ ჩანს ინკლუზიური განათლების პრაქტიკის (სასწავლო-პედაგოგიური პრაქტიკა) ლექტორი, თუმცა ინტერვიუს დროს გაცხადდა, რომ აღნიშნული კურსის ავტორი და ლექტორი არის თამარ ისაკაძე. წარმოდგენილ კურიკულუმში (სასწავლო გეგმა) გაწერილია აკადემიური პერსონალის განაწილება სემესტრებისა და კურსების მიხედვით. აღსანიშნავია, რომ პერსონალის დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის შეუფერხებელ განხორციელებას და დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას.

წარმოდგენილი პერსონალის დატვირთვის ცხრილში წარმოდგენილია 2022-23 წლის გაზაფხულის სემესტრში თსუ-ში სასწავლო კვირეული დატვირთვა და არა სემესტრულად განახლებადი დატვირთვის სქემა, რადგან ამ ეტაპზე პროგრამა არ არის აკრედიტებული და მოქმედი. აღსანიშნავია, რომ აღნიშნული დოკუმენტის მიხედვით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ პროგრამას განახორციელებს სემესტრში 6 აფილირებული სტატუსის მქონე პერსონალი, შესაბამისად დაცულია ბალანსი

აფილირებულ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის, რაც პროგრამის მდგრადობის გარანტად შეიძლება იქნას მიჩნეული.

პროგრამის ხელმძღვანელი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალური და პოლიტიკური მეცნიერების ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორია. ამავდროულად თამარი ხელმძღვანელობს უნივერსიტეტის ბაზაზე არსებულ შშმ პირთა კვლევის ცენტრს, რომელიც თავის მხრივ მნიშვნელოვან კონტრიბუციას შეიტანს სპეციალური მასწავლებლის მომზადების პროგრამის განხორციელებაში. თამარის CV-ში აღნიშნულია, რომ ის ხელმძღვანელობს სოციალური სამუშაოს სადოქტორო პროგრამას თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, შესაბამისად, ცხადია, რომ მას აქვს პროგრამების შემუშავებისა და განხორციელების გამოცდილება. პროგრამის ხელმძღვანელი უშუალოდ ჩართულია პროგრამის განხორციელებაში, რაც დასტურდება როგორც მოწოდებული დოკუმენტაციით (მაგ: თამარი უძღვება კურსს „სპეციალური და ინკლუზიური განათლების საფუძვლები“), ასევე ინტერვიუს შედეგებით. ინტერვიუს პროცესში პროგრამის ხელმძღვანელმა დეტალურად აღწერა თავისი როლი პროგრამის შემუშავებისა და კოორდინაციის პროცესში.

პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის, აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული პერსონალი)	**პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა**	**მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით პერსონალი[6]**	**მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი[7]**	**მათ შორის აფილირებული აკადემიური პერსონალი**
სულ აკადემიური პერსონალი	**14**	**14**	**6**	**6**
- პროფესორი	2	2	2	2
- ასოცირებული პროფესორი	4	4	4	4
- ასისტენტ-პროფესორი	0	0	0	0
- ასისტენტი	0	0	0	0
მოწვეული პერსონალი	8	8	0	_
სამეცნიერო პერსონალი	0	0	0	_

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- პერსონალის CV და დიპლომები (დანართი 5)
- პერსონალის დატვირთვები (დანართი 10)

[6] ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი კომპონენტების განმახორციელებელი პერსონალი

[7] ძირითადი სწავლის სფეროს კომპონენტების განმახორციელებელი შესაბამისი დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი

- პერსონალი (დანართი 2)
- პროგრამის ხელმძღვანელის ფუნქციები (დანართი 6)
- ინტერვიუს შედეგები
- უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში, სპეციალური მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
4.1 ადამიანური რესურსი	☒	☐	☐	☐

4.3. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

- დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს.
- უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

ინტერვიუსა და წარმოდგენილ დოკუმენტაციაზე დაყრდნობით ირკვევა, რომ უნივერსიტეტი ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე. უნივერსიტეტი უზრუნველყოფს ფულადი სახის წახალისებას იმ აკადემიური პერსონალისა და სტუდენტებისათვის (მაგისტრანტები და დოქტორანტები), რომლებიც განახორციელებენ სამეცნიერო საქმიანობას, კერძოდ სტატიის გამოქვეყნებას აკადემიურ ჟურნალში.

გარდა ამისა, უნივერსიტეტი პერიოდულად აგროვებს უკუკავშირს პერსონალისგან წინასწარ შემუშავებული კითხვარების საშუალებით (დანართი 12) კმაყოფილების შესახებ, რომელშიც პერსონალს შესაძლებლობა აქვს დააფიქსიროს თავისი შეხედულება ისეთი საკითხებისადმი როგორიცაა: საათობრივი დატვირთვა, პროფესიული განვითარების არსებული შესაძლებლობები, სახელფასო პოლიტიკა, კვალიფიკაციის ასამაღლებელი ფორმა და ა.შ.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კითხვარები, აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის კითხვარი (დანართი 12)
- ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
4.3 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება	☒	☐	☐	☐

4.4. მატერიალური რესურსი

პროგრამა უზრუნველყოფილია აუცილებელი ინფრასტრუქტურით, სწავლის სფეროს შესაბამისი საინფორმაციო რესურსებით და ტექნიკური აღჭურვილობით, რომელიც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

სპეციალური მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება ხდება ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის მე-3 კორპუსში. პროგრამების განსახორციელებლად და პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად უნივერსიტეტს გააჩნია შესაბამისი მატერიალურ–ტექნიკური ბაზა, სასწავლო აუდიტორიები, ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი, აკადემიური პერსონალის სამუშაო სივრცე., საერთო შეხვედრების სივრცე და სამზარეულო.

საბიბლიოთეკო რესურსის განახლება მიმდინარეობს პერმანენტულად.

ბიბლიოთეკის თანამშრომლების მიერ შექმნილია როგორც სამეცნიერო ბაზების, ვიზიტის დროს ექსპერტთა ჯგუფმა დაათვალიერა ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი. ბიბლიოთეკის ადმინისტრაცია სწორედ ამ დროს ფონდის შევსების პროცესში იყო და ახორციელებდა განახლებული ფონდის ელექტრონულ პორტალზე დამატებას.

ბიბლიოთეკის ელექტრონული კატალოგის მოხმარების ინსტრუქციები და ინფორმაცია ელექტრონული ფოსტით რეგულარულად ეგზავნება სტუდენტებსა და აკადემიურ პერსონალს. ხორციელდება საინფორმაციო შეხვედრებიც.

ბიბლიოთეკის ელექტრონული კატალოგი ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე. კატალოგში ძიება საშუალებას აძლევს ყველა დაინტერესებულ პირს მოიძიოს უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში ხელმისაწვდომი ლიტერატურა, ასევე არსებული ეგზემპლარის რაოდენობა, გატანილი და დარჩენილი ეგზემპლარების რაოდენობა. ელექტრონულ კატალოგში ძებნა შესაძლებელია ავტორის, სათაურის, თემატიკის მითითებით. ბიბლიოთეკა რეგულარულად აღრიცხავს მკითხველისა და სახელმძღვანელოების ბრუნვას თემატიკის მიხედვით, რაც ეხმარება განსაზღვროს კონკრეტული მიმართულებით არსებული სახელმძღვანელოების სათანადო რაოდენობა.

უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში განსაზღვრულია სამუშაო დღეები და საათები. უნივერსიტეტში უზრუნველყოფილია საერთაშორისო ელექტრონულ საბიბლიოთეკო ქსელში ჩართულობა. უნივერსიტეტის შენობა აღჭურვილია პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო შესაბამისი ინვენტარითა და პროგრამული უზრუნველყოფით. წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში გამოყენებული ლიტერატურა შემთხვევითი შერჩევის პრინციპით გადამოწმების შედეგად, ადგილზე აღმოჩნდა. ყველა სავალდებულო ლიტერატურა ხელმისაწვდომია ბიბლიოთეკაში ელექტრონული ან/ და ბეჭდური ფორმით. ბაზებზე შესვლისა და ნავიგაციის დეტალური ტუტორიალები ყოველი სემესტრის დასაწყისში ზიარდება უნივერსიტეტის აკადემიურ, მოწვეულ, სამეცნიერო პერსონალთან და სტუდენტებთან. სამეცნიერო ელექტრონული ბაზების სრული ჩამონათვალი და აღწერა ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე.

ინტერვიუების დროს დადასტურდა, რომ ეფექტიანი და სწრაფი კომუნიკაციისათვის მთელს უნივერსიტეტში მუშაობს ელექტრონული პლატფორმა, სტუდენტთა საინფორმაციო სისტემა (LMS), რომლის მეშვეობითაც ხორციელდება სტუდენტის აკადემიური რეგისტრაცია ყოველი სემესტრის დასაწყისში. პლატფორმაზე ასევე, განთავსებულია მიმდინარე, შუალედური და დასკვნითი შეფასებები, შესაბამისად, აღნიშნული ელექტრონული პლატფორმის გამოყენებით სტუდენტებს საშუალება აქვთ თვალი ადევნონ შეფასებებს და საკუთარ აკადემიურ მიღწევებს. უნივერსიტეტის ელექტრონულ პლატფორმას გამოკითხვის პროცესის უზრუნველყოფის მიზნით ასევე იყენებს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურიც.

პროგრამის განხორციელებისთვის გამოიყენება შშმ პირთა საკითხების კვლევის ცენტრის სივრცე, რომელშიც წარმოდგენილია მრავალფეროვანი დამხმარე ტექნიკა და სხვადასხვა ტიპის დამხმარე მოწყობილობები სენსორული დარღვევების მქონე პირებისთვის. ოთახში განთავსებულია ბრაილის შრიფტით საბეჭდი მანქანა, ბრაილის საბეჭდი ფურცლები, შრიფტის გამადიდებელი, სენსორული მრავალდონიანი სანათი, სპეციალური სათვალეები მხედველობის დაზიანების სხვადასხვა სახის (მაგ: ახლომხედველობა, პიგმენტური რეტინიტი) შესაცნობად, ტაქტილური მასალები და სხვა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- უნივერსიტეტის აუდიტორიები;
- ოთახი პროგრამისთვის საჭირო სასწავლო რესურსებითა და სპეციალური მოწყობილებობებით;
- o ბიბლიოთკა,
- o უნივერსიტეტის ვებგვერდი;
- o სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული პლატფორმები;
- o ვიზიტის/დათვალიერების შედეგები

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
4.4 მატერიალური რესურსი	☒	☐	☐	☐

4.5. პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა

პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

პროგრამის ხარჯები სუბსიდირებულია უნივერსიტეტის ცენტრალური ბიუჯეტიდან.

მიუხედავად იმისა, რომ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამა არის ახალი და შესაბამისად, 2024 წლის ბიუჯეტში არ არის ასახული კონკრეტულად აღნიშნულ პროგრამასთან დაკავშირებული შემოსავლები და ხარჯები, უნივერსიტეტის მხრიდან, მაინც განხორციელებულია პროგრამის წლიური საპროგნოზო საოპერაციო შემოსავალ-ხარჯების მაჩვენებლები. პროგრამის აკრედიტაციის შემთხვევაში, აღნიშნული გათვალისწინებული იქნება 2024 წლის ბიუჯეტში.

პროგრამის ბიუჯეტის შედგენის პროცესში ჩართულია ფაკულტეტის დეკანი პროგრამის ხელმძღვანელთან ერთად. ბიუჯეტის შედგენისას ხდება პროგრამის საჭიროებების შეფასება, პრიორიტეტული ხარჯების გამოყოფა და გათვალისწინება, ასევე, პროგრამის ბიუჯეტით გათვალისწინებული ხარჯების განხორციელების უზრუნველყოფის მიზნით პროგრამისა და ფაკულტეტის შემოსავლების გათვალისწინება.

უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან ინტერვიუებმა დაადასტურა, რომ შესაბამისი მმართველი რგოლების ხელმძღვანელები მკაფიოდ ხედავენ პროგრამის ფინანსურ რისკებს, თუმცა ამასთანავე ხედავენ პროგრამის განხორციელების საჭიროებას შესაბამისი სპეციალისტების მომზადებასა და ბაზარზე დეფიციტის შევსებას. შესაბამისად, უნივერსიტეტი მზად არის, საჭიროების შემთხვევაში, დამატებითი ხარჯები გაიღოს პროგრამის ფუნქციონირებისათვის.

პროგრამის საპროგნოზო ბიუჯეტით გათვალისწინებული ხარჯები უზრუნველყოფს პროგრამის მხარდაჭერას და შესაბამისად, პროგრამით დასახული სწავლის შედეგების მიღწევას. ბიუჯეტით გათვალისწინებული ხარჯები განხორციელებადია, რადგან იგი მხარდაჭერილია ფაკულტეტისა და უნივერსიტეტის მიერ და უზრუნველყოფილია ფაკულტეტისა და უნივერსიტეტის შემოსავლებით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- o უნივერსიტეტის ბიუჯეტი;
- o პროგრამის საპროგნოზო ბიუჯერი.

რეკომენდაციები:

- o წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- o არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
4.5 პროგრამის/ ფაკულტეტის/ სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა	☒	☐	☐	☐

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☒
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	☐

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით, პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის შეფასებებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1. შიდა ხარისხის შეფასება

პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან/პერსონალთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა;

წარმოდგენილი დოკუმენტაციითა და ვიზიტის ფარგლებში ჩატარებული გასაუბრებებით იკვეთება, რომ ხარისხის შიდა უზრუნველყოფასთან დაკავშირებულ საკითხებს უსდში კოორდინირებას უწევს კურიკულუმის განვითარების კომიტეტი, რომლის შემადგენლობაშიც შედის თსუს ცენტრალური ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის, ფაკულტეტის ხარისხის სამსახურის წარმომადგენლები, სტუდენტი, კურსდამთავრებული, დამსაქმებელი.

კურიკულუმის განვითარების კომიტეტის საქმიანობის ძირითადი ამოცანაა უსდში სწავლებისა და კვლევის ხარისხის ამაღლება და საერთო ევროპულ საგანმანათლებლო სივრცეში ინტეგრაციის ხელშეწყობა.

ადმინისტრაციის წარმომადგენლების თქმით, ინტერესი ამ პროგრამის მიმართ ძალზედ დიდია, პროგრამა შემუშავდა ერასმუს+ პროექტის -CISI ფარგლებში.

ზოგიერთმა კურსმა, როგორც არჩევითმა პილოტირება გაიარა 300 კრედიტიან მასწავლებლის მომზადებისა და ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამებში.(მაგალითად(ემოციური და ქცევითი დარღვევების მქონე მოსწავლეთა სწავლება).

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლის თქმით, „ჩვენი მიზანია წარმოდგენილი პროგრამა გახდეს ისეთივე მნიშვნელოვანი, როგორც 60 კრედიტიანი-მასწავლებლის მომზადების პროგრამა“.

ინტერვიუს შედეგებით გამოიკვეთა, რომ უნივერსიტეტში სასწავლო და სამეცნიერო–კვლევითი საქმიანობის, აკადემიური პერსონალის პროფესიული განვითარების შეფასებისა და სათანადო რეკომენდაციების შემუშავების მიზნით, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური აკადემიურ/ადმინისტრაციულ პერსონალთან თანამშრომლობით მონაწილეობს სტუდენტების მიერ პროგრამით განსაზღვრული კურსების სწავლის შედეგების მიღწევის რელევანტურობის შემოწმების კუთხით,

რათა მოხდეს პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევის გაზომვა. შედეგების ანალიზის საფუძველზე კი ხორციელდება პროგრამის სწავლის შედეგების მოდიფიცირება, პროგრამის მიზნებისა და შედეგების რელევანტურობის დასადგენად - პროგრამის შედეგების მაქსიმალურად გასვლის უზრუნველსაყოფად.

ხარისხის სამსახურის წარმომადგენლების თქმით, „აქტიურად მიმდინარეობს მუშაობა სხვადასხვა რგოლთან, რათა სწავლის შედეგების შეფასება განხორციელდეს ობიექტურად და გამჭვირვალედ, პროგრამით განსაზღვრული კურსების სწავლის შედეგების შემოწმება, გაზომვა და ანალიზი მთელი სემესტრის განმავლობაში უწყვეტად მიმდინარეობს სხვა(მოქმედი) პროგრამების ფარგლებში - ამ პროცესში აქტიურად ვიყენებთ უსდს დებულებით განსაზღვრული შუალედური და დასკვნითი შეფასებების ანალიზს. სხვადასხვა აქტივობებს-კონფერენციების, სამეცნიერო აქტივობების, საერთაშორისო პროექტების შედეგების ანალიზს და ბაზრის კვლევის შედეგებს.“

უსდში კარგად არის დაგეგმილი განსახორციელებელი პროცედურები, რის საფუძველზეც წარმოებს მიმდინარე პროცესების შეფასება. - ციკლურ პროცესზე დაყრდნობით ოთხ ძირითად ურთიერთდაკავშირებულ ელემენტთან მიმართებით: დაგეგმვა, განხორციელება, შემოწმება და გაუმჯობესება (Planning, Implementing, Checking and Improving - PICI).

ასევე მკაფიოა საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მხარდამჭერი მექანიზმები, რომლის საქმიანობაში აკადემიურ პერსონალთან ერთად მონაწილეობენ სტუდენტები, კურსდამთავრებულები და დამსაქმებლები.

შიდა შეფასების საფუძველზე უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ინსტრუმენტები უზრუნველყოფს სტუდენტთა ჩართულობას, ხარისხის განსაზღვრას სისტემაში, ასევე საგანმანათლებლო პროგრამისა და სილაბუსების სტანდარტის ამაღლებას.

ამრიგად, დოკუმენტების შესწავლა, გასაუბრების შედეგები აჩვენებს, რომ შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები - საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, შეფასებისა და განვითარების, სამეცნიერო პერსონალის საქმიანობის შეფასების წესი, სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგი, კურსდამთავრებულთა დასაქმების, დამსაქმებლის დამოკიდებულება ორიენტირებულია საგან-მანათლებლო პროგრამების, სასწავლო პროცესისა და აკადემიური პერსონალის შეფასებასა და განვითარების ხელშეწყობაზე.

აღსანიშნავია ისიც, რომ სასწავლო პროცესის მონიტორინგი, სწავლის, სწავლებისა და კვლევის ინტერნაციონალიზაცია, პერიოდული კვლევების წარმოება და რეკომენდაციების შემუშავება მიმართულია შიდა ხარისხის უზრუნველყოფასთან.

თვითშეფასების ჯგუფთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ პროგრამაზე მუშაობა კოორდინირებულად და აქტიურად მიმდინარეობდა: გაანალიზდა სასწავლო კურსების სწავლის შედეგებსა და მიღწევის აქტივობებს შორის კავშირი, შეფასების კრიტე-რიუმებში მოხდა ცალკეული ხარვეზების გასწორება გარკვეულ სასწავლო კურსებში. აქტიურად იყო გამოყენებული კურსების პილოტირებისას ჩატარებული სხვადასხვა ტიპის გამოკითხვების ანალიზი და შედეგები მაქსიმალურად იქნა გათვალისწინებული, მაგალითად, საკითხავი მასალის შესამცირებელი რეკომენდაცია და სხვა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება, https://tsu.ge/ka/quality-assurance (დანართი N13);
- სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებატა ფაკულტეტის დებულება https://www.tsu.ge/data/file_db/faculty_psychology/psychoedu_debuleba.pdf
- სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, და განვითარების პროცედურა, დამტკიცებულია თსუ აკადემიური საბჭოს 2019 წლის 22 ივლისის №100/2019 დადგენილებით (დანართი N3);
- სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უშეფასებისა ნივერსიტეტის ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მხარდამჭერი კომიტეტის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ (აკადემიური საბჭოს 2018 წლის 32/2018 დადგენილება), https://www.tsu.ge/ka/legalakad/15938 • გამოკითხვის ინსტრუმენტები და კვლევის შედეგები (დანართი N12).

რეკომენდაციები:

- o წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- o არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
5.1 შიდა ხარისხის შეფასება	☒	☐	☐	☐

5.2. გარე ხარისხის შეფასება

პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა;

წარმოდგენილი დოკუმენტაციით, გასაუბრებების საფუძველზე/აქტიური ინტერვიუების ფორმატში გამოიკვეთა, რომ პროგრამა გარე ხარისხის შეფასებისათვის იყენებს სხვადასხვა ინსტრუმენტებს: გარე ექსპერტის შეფასებას, დამსაქმებელთა, კურსდამთავრებულთა, სტუდენტების კვლევას.

წარმოდგენილ საგანმანათლებლო პროგრამასა და მასში ჩართულ სასწავლო კურსების სილაბუსებზე მუშაობა პროექტის პარტნიორ ევროპულ უნივერსიტეტებთან (Transilvania University of Brașov (UTBV), P10 Univerzita Palackeho v Olomouc (PUO), University of Warsaw და UW Philipps-Universität Marburg, UMR) მჭიდრო თანამშრომლობის რეჟიმში მიმდინარეობდა.

შესაბამისად, პროგრამის განხორციელებაში ჩართულ პირებს, შესაძლებლობა ჰქონდათ CISI პროექტის ფარგლებში სწვეოდნენ პარტნიორ ევროპულ უნივერსიტეტებს, გაცნობოდნენ სკოლებში ინკლუზიური განათლების პროცესს და ევროპელ კოლეგებთან გაეზიარებინათ გამოცდილება.

პროგრამის ხელმძღვანელის, თვითშეფასების ჯგუფის წარმომადგენლების მიერ აღინიშნა, რომ წარმოდგენილი პროგრამა მომზადებისას დაეფუძნა: დარგობრივ მახასიათებელს, კანონმდებლობით გათვალისწინებულ სტანდარტებს. მათ მიერ ითქვა ისიც, რომ პროგრამას არ აქვს ზუსტი ანალოგი პროგრამა თუმცა, კურსები შეიქმნა ერასმუს+ პროეტის ფარგლებში და კურსის შემქმნელებს ჰქონდათ შესაძლებლობა ევროპულ პარტნიორ უნივერსიტეტებთან თანამშრომლობით, ენახათ გარკვეული კურსების აგების პრინციპები პარტნიორ ევროპულ ქვეყნებში.

პროგრამის ხელმძღვანელის თქმით, „პროგრამის მომზადებისას დავეყრდენით დარგობრივ მახასიათებელს, შემდეგ მომზადებული სილაბუსები დაიტესტა 300 კრედიტიანი მასწავლებლის მომზადების და ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტებისათვის, მივიღეთ უკუკავშირი, ყოველი სემესტრის განმავლობაში გვქონდა სუპერვიზია მუშაობდა მონოტორინგის ჯგუფი, ევროპული უნივერსიტეტებიდან, ექსპერტები აწარმოებდნენ მონიტორინგს. ერთ-ერთი რეკომენდაცია იყო სასწავლო მასალის სიდიდის გამო, გვერდების მოცულობის შემცირება, ამიტომ ჩვენ შევამცირეთ საკითხავი მასალის მოცულობა და ჩავდეთ მეტი პრაქტიკული ქეისები - ჰენდაუთებში. (მაგალითად, კურსი - სოციალურ-ემოციური ქცევითი სირთულეები)“.

უნდა აღინიშნოს, რომ პროგრამის ზოგიერთი კურსი პილოტირებისათვის შევიდა მომიჯნავე პროგრამებზე. რის შემდეგაც განხორციელდა კურსების ანალიზი. ხარისხის სამსახურის წარმომადგენლების თქმით, საინტერესოდ წარიმართა სტუდენტების და კუსდამთავრებულების გამოკითხვა/ანალიზი.. 3800 სტუდენტის უკუკავშირი იქნა მიღებული, გამოიკითხა 1517 კურსდამთვრებული.

პროგრამის მესვეურთა თქმით, საპილოტე კურსების დასრულების შემდეგ განხორციელებული .გამოკითხვის შედეგები მაქსიმალურად გათვალისწინებულიაა კურიკულუმის აგებაში, რაც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულებაა პროგრამების შექმნის პროცესში.

მაგალითად მომიჯნავე პროგრამის - ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამაში ახლახანს შევიდა გარკვეული ცვლილება, დაემატა ახალი სასწავლო კურსი, სპორტის და ვარჯიშის ფსიქოლოგია -უნივერსიტეტში მოქმედი ყველა რეგულაციის დაცვით, რადგან აღნიშნული კურსის გავლის სურვილი გამოჩნდა სტუდენტების გამოკითხვების ანალიზში.

ასევე ერთ-ერთი კურსის ავტორის განცხადებით, „გერმანიაში მარბურგში ვნახეთ მცირე მცხედველობის მქონე პირთა მომსახურების ცენტრი, სადაც გავეცანით მათ გამოცდილებას, რაც შემდეგ გარკვეულწილად გავითვალისწინეთ კურსის - მხედველობის დარღვევის მქონე პირთა სწავლების მეთოდები და განვითარების თავისებურებები - მომზადების პროცესში, მივიღეთ საინტერესო გამოცდილება მხედველობის დარღვევის მქონე ადამიანების სწავლების ძირითადი ასპექტების, თეორიული საფუძვლების, თანამედროვე საგანმანათლებლო მიდგომებისა და პრაქტიკული სამუშაო სტრატეგიების შესახებ;

წარმოდგენილი დოკუმენტაციით და ინტერვიუებით მკაფიოდ იკვეთება რომ პროგრამის მომზადებისას ხარისხის გარე უზრუნველყოფის მიზნით, გამოყენებულია ხარისხის გარე შეფასების შედეგები (კურსდამთავრებულთა, დამსაქმებელთა და სხვა დაინტერესებულ მხარეთა გამოკითხვა)

ინტერვიუებისას ერთ-ერთმა კურსდამთავრებულმა აღნიშნა,: „სურვილი მქონდა ინკლუზიური განათლების კურსის ფარგლებში უფრო მეტი კრედიტი გამევლო, .რაც გათვალისწინებულია უსდს მიერ და მიხარია, რომ მომზადდა სპეციალური მასწავლებლის მომზადების პროგრამა“.

ერთ-ერთი დამსაქმებლების თქმით, მათთვის ძალიან მნიშვნელოვანია პროგრამაში ჩართული სტუდენტების პოტენციალის გამოყენება პრაქტიკის კომპონენტის ფარგლებში, როდესაც მოხდება სტუდენტების მივლინება მათ ინნსტიტუციაში.

ასევე ერთ-ერთი დამსაქმებელის განცხადებით, „გვიჭირს კადრების მოძიება, სპეციალური მასწავლებლის პროგრამის კომპონენტის პრაქტიკის ფარგლებში მოცემული აქტივობები უზრუნველყოფს სტუდენტებში ტრანზიციის უნერების გამომუშავებას, და სასიხარულოა, რომ ინდივიდულაური სასწავლო გეგმაზე მუშაობა პრაქტიკის ნაწილში არის მოცემული. რაც ჩვენთვის ძალზედ საჭიროა“.

შეჯამების სახით უნდა აღინიშნოს, რომ წარმოდგენილი პროგრამის გარე შეფასების ფარგლებში გაანალიზდა პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები და მათი მიღწევის კომპონენტები, სწავლება-სწავლის მეთოდები, სადაც ჩართული იყვნენ კურსდამთავრებულები, პოტენციური დამსაქმებლები, ასევე დარგის სპეციალისტები.

გარე ხარისხის შეფასებისთვის წარმოდგენილია ვარშავის უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორის, ურ. მ.-ს დასკვნა, დასკვნაში იდეალურად არის შეფასებული პროგრამა, ხაზგასმულია მისი მნიშვნელობა და არ მოიცავს არც ერთ რეკომენდაციას და რჩევებს.

აღნიშნული ინფორმაცია დასტურდება წარმოდგენილი დოკუმენტაციით, პროგრამის ხელმძღვანელებთან, თვითშეფასების ჯგუფთან, ხარისხის სამსახურის წარმომადგენლებთან, დამსაქმებლებთან ინტერვიუებით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საერთაშორისო ექსპერტის მიერ პროგრამის შეფასება (დანართი N13);
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წლიური ანგარიშები (დანართი N11);
- მოწვეული საერთაშორისო ექსპერტის მხარდაჭერის წერილი (დანართი N13).

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
5.2 გარე ხარისხის შეფასება	☒	☐	☐	☐

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა;

წარმოდგენილი დოკუმენტაციითა და ვიზიტის ფარგლებში ჩატარებული გასაუბრებებით იკვეთება, რომ ხარისხის უზრუნველყოფასთან დაკავშირებულ საკითხებს უსდში კოორდინირებას უწევს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური/უნივერსიტეტის მართვის ორგანო, რომლის საქმიანობის ძირითადი ამოცანაა უსდში სწავლებისა და კვლევის ხარისხის ამაღლება და საერთო ევროპულ საგანმანათლებლო სივრცეში ინტეგრაციის ხელშეწყობა.

საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება რეგულარული პროცესია, რისთვისაც გამოიყენება როგორც პირდაპირი, ასევე არაპირდაპირი მეთოდები; როგორც რაოდენობრივი, ისე თვისებრივი მონაცემები, რაც დასტუდება წარმოდგენილი დოკუმენტების პაკეტით და ინტერვიუებში გაჟღერებული ინფორმაციით.

გასაუბრებებით ასევე იკვეთება, რომ უნივერსიტეტში სისტემატურად მიმდინარეობს დაინტერესებული მხარეების გამოკითხვა, მათი კმაყოფილების კვლევა სტუდენტებისა და პერსონალის მომსახურების ხარისხით, მატერიალურ-ტექნიკური ბაზით, საბიბლიოთეკო ფონდების მოხმარებითა და სხვ.

პერიოდულად მიმდინარეობს კითხვარების განახლება. გამოკითხვის პროცესში გამოყენებულია როგორც საუნივერსიტეტო დონეზე რეკომენდირებული, ისე დამატებითი კითხვარები, რაც უკავშირდება დარგის სპეციფიკას.

გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ აქტიური დატვირთვა აქვს აკადემიური პერსონალის სამეცნიერო საქმიანობის შეფასებას. ასევე უსდს ადმინისტრაცია გამოთქვამს მზაობას პერსონალს განვითარებისათვის, მათი თქმით, უსდში გამართულია ხელშეწყობის მექანიზმები:

თსუში ფუნქციონირებს აკადემიური მხარდაჭერის პროგრამა, თუ პროგრამაში ჩართული პრფესორი სტატიას გამოაქვეყნებს მაღალრეიტინგულ ჟურნალში, ჯილდოდ მიიღებს 2500 ლარს. დოქტორანტებისათვის კი დაწესებულია 1000 ლარი.

ასევე სტუდენტებისთვის მოქმედებს პროექტების დაფინანსების პროგრამა, რომლის ბიუჯეტი გაიზარდა მილიონ ლარამდე, შესაძლებელია, სტუდენტების ინიცირებითაც ნებისმიერი საგანმანათლებლო პროექტის დაფინანსება. რეგულარულად გაიცემა შიდა გრანტები.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური მუდმივ რეჟიმში კონსულტაციებს უწევს აკადემიურ, სამეცნიერო, მოწვეულ, ადმინისტრაციულ, დამხმარე პერსონალს, ხარისხის შიდა და გარე უზრუნველყოფასთან, ავტორიზაციასა და აკრედიტაციასთან დაკავშირებულ საკითხებზე.

მუდმივად, პრიორიტეტული მიმართულებების გათვალისწინებით მიმდინარეობს სწავლისა და სწავლების, კვლევის პროცესების, ადმინისტრირებისა და სერვისების ინტეგრირება ელექტონულ პორტალებზე.

აღსანიშნავია პროგრამის ხელმძღვანელის, პროგრამაში ჩართული პერსონალის აქტიური თანამშრომლობა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან, მათი აქტიურობა ხარისხის სამსახურის მიერ დაგეგემილ სხვადასხვა ტიპის ისეთ შეხვედრებში, როგორიცაა სასწავლო-სამეცნიერო პროცესის გამართულობა, პროგრამის შემუშავება, სილაბუსების მომზადება, უკუკავშირების შედეგად მუდმივ რეჟიმში უწყვეტად მიმდინარეობს ცალკეული კურსების მოდიფიცირება, სხვადასხვა ფორმატის საკონსულტაციო თუ სატრენინგო შეხვედრებში მონაწილეობა.

ახალი რეგულაციების გაცნობისა ან შიდა რეულაციების შექმნა-განახლების მიზნით, ასევე მნიშვნელოვანია შეფასების ინსტრუმენტებსა და რეგულაციებზე მიღებული ინფორმაციის ასახვა პროგრამაში.

ყველა მოყვანილი ცვლილება განიხილება კურიკულუმის განვითარების კომიტეტში, რაც არის პროცესში პერსონალის ჩართულობის გარანტი.

შეხვედრებისას ინტერვიუებში იკვეთება, რომ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის აკადემიური და მოწვეული პირები იცნობენ ამ მექანიზმებს და მათ გამოყენებას ეფექტურად მიიჩნევენ პროგრამისა და თვითგანვითარებისათვის.

უნდა აღინიშნოს, რომ აკრედიტაციისათვის საგანმანათლებლო პროგრამისა და თვითშეფასების ანგარიშის მომზადებაში სამუშაო ჯგუფთან ერთად ჩართულნი იყვნენ დაინტერესებული მხარეები (კურსდამთავრებულები, დამსაქმებლები, სტუდენტები, პროფესორები)

აღინიშნა, რომ ანალიზისათვის მაქსიმალურად არის გათვალისწინებული პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის, მასწავლებლების და მოწვეული პერსონალის რაოდენობა; პროგრამის აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტებისა და პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის თანაფარდობა; პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის, მასწავლებლების და მოწვეული პერსონალის თანაფარდობა; მომიჯნავე პროგრამების სტუდენტების გამოკითხვის შედეგები; პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული პერსონალის, მასწავლებლების გამოკითხვის შედეგები; სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში და/ან სამეცნიერო-კვლევით ცენტრებში მოღვაწე ქართველი და უცხოელი სპეციალისტების შეფასება;

ნათლად ჩანს, რომ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მუშაობის მიმართულებები სტუდენტზეა ორიენტი-რებული და სწავლებისა და კვლევის ხარისხის გაუჯობესებას ემსახურება. უზრუნველყოფილია სასწავლო რესურსებისა და სერვისების მიწოდების მაღალი ხარისხი; სწავლებისა და კვლევების ინტერნა-ციონა-ლიზაცია; პერიოდული და ეფექტური მონიტორინგი, შეფასება და სწორი რეაგირებას.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ზრუნავს სასწავლო პროცესის ხარისხის ამაღლებაზე, შეიმუშავებს სასწავლო პროცესის ხარისხის შეფასებისთვის საჭირო ინსტრუმენტებსა და მეთოდებს, გეგმავს შეფასების პერიოდულობას, უზრუნველყოფს შეფასებას და მოპოვებული მონაცემების საფუძველზე, იძლევა რეკომენდაციებს სასწავლო პროცესის ხარისხის გასაუმჯობესებლად.

დასკვნის სახით შეიძლება აღინიშნოს, რომ წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზი და გასაუბრებებათა სერია ცხადყოფს, რომ პროგრამის მონიტორინგისა და პერიოდული შეფასების მექანიზმები უნივერსიტეტში დამუშავებული და გააზრებულია. რაც ხელს უწყობს პროგრამის მუდმივ განვითარებას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2019 წლის 22 ივლისის N100/2019დადგენილება „სსიპ– ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საბაკალავრო, სამაგისტრო და დიპლომირებული მედიკოსის/სტომატოლოგის საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების ინსტრუქცია და პროცედურის დამტკიცების შესახებ“ (დანართი N3);
- სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მხარდამჭერი კომიტეტის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ. (აკადემიური საბჭოს 2018 წლის 32/2018 დადგენილება): https://www.tsu.ge/ka/legalakad/15938
- უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება,https://tsu.ge/ka/qualityassurance (დანართი N11);
- თსუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წლიური ანგარიშები (დანართი N11);
- საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების პროცედურა (დანართი N3);
- სტუდენტთა, კურსდამთავრებულთა, დამსაქმებელთა და პერსონალის გამოკითხვის კითხვარის ფორმები (დანართი N12)

- **რეკომენდაციები:**

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
5.3 პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება	☒	☐	☐	☐

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☒
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	☐

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში):

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება: სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, საფეხური: სპეციალური მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა

პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობა

შეფასება **სტანდარტები**	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	☐	☒	☐	☐
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	☒	☐	☐	☐

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	☒	☐	☐	☐
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	☒	☐	☐	☐
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	☒	☐	☐	☐

ხელმოწერები:

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის

სახელი, გვარი, ხელმოწერა მიხეილ გიორგაძე

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების

სახელი, გვარი, ხელმოწერა ლია ქურციკიძე

სახელი, გვარი, ხელმოწერა თამარ სეხნიაშვილი

სახელი, გვარი, ხელმოწერა ირმა ქურდაძე

სახელი, გვარი, ხელმოწერა: ევა ხუხაშვილი